ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გიორგი კვირიკაშვილი: „გვინდა მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“



გვ.2

24 მაისიდან

ერიხ მარია რემარკი

ტრიუმფალური თაღი

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




ოთხშაბათი, 25 მაისი, 2016 №122 (7048) ფასი: 50 თეთრი

# „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია“



„22 მაისს საქართველოში გაიმართა შუალედური არჩევნები. 10 უბანზე ნაციონალებს თავიანთი კანდიდატები ოთხგან ჰყავდათ წარდგენილი. ამ 4 უბნიდან ყოფილმა ხელისუფლებამ 2 მოიგო. ეს არის საგანგაშო სიგნალი და იმის დადასტურება, რომ ხელისუფლება სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც „ქართულმა ოცნებამ" ისეთი ხალხი შემოიკრიბა გარშემო, რომლებსაც ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლაში თითი თითზე არ დაუკარებიათ"




გვ.4

## ლადო სადღობელაშვილი: „ხელისუფლების ზოგიერთი წევრი უკვე გასაქცევად ემზადება“

## სოსო მანჯავიძე: „ნაცმოძრაობა არ იძლევა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების განვითარების შესაძლებლობას“



გვ.5

ნაცმოძრაობას არა მარტო არ აგებინეს პასუხი სისტემური დანაშაულებსა და სხვა ქმედებებზე, არამედ ეს პარტია გახადეს სრული მონოპოლისტი ოპოზიციური ნიშაში. ეს არის აგრესიული და ბოროტებასთან ასოცირებული ძალა. ხალხისათვის საძულველი სახეები ამ პარტიიდან არსად წასულან. ნაცმოძრაობაში, ფაქტობრივად, არანაირი განახლება არ მომხდარა.

## „ქართული ოცნება“ გახდა ნაციონალური მოძრაობა 2“





გვ.3

ბესო დანელია: „26 მაისის სადამსჯელო ოპერაციის შედეგად კიდევ 8 ადამიანი დაილუპა“

## შალვა ხაჭაპურიძე: „კანონი თუ არ გამკაცრდა, 8 ოქტომბერს მასშტაბურ ცემა-ტყეპას მივიღებთ“

გვ.5



ISSN 1987-9385

## პეტრე მამრაძე: „ნაციონალებს ნებისმიერი ძალადობა აწყობთ“



კვირიკაშვილისა და სხვების პოზიცია მყარია. იმედი მაქვს, არ აჰყვებიან ნაცისტებს, მათ ბოევიკებსა და პროვოკაციებს.

გვ. 6

## გოგი თოფაძე: „კოღუაშვილის წინააღმდეგ რადიკალური ზომები გატარდება“




გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი კვირიკაშვილი: „გვინდა მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 24 მაისს, თავდაცვისა და უსაფრთხოების რიგით მე-10 კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციას ნატოს მაღალჩინოსნები და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენცია ნატოს ვარშავის სამიტის წინ ერთგვარი სამზადისია.**

მთავარი კითხვა – მივიღებთ თუ არა მაპს? – ისევ პასუხგაუცემელი რჩება. თუმცა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა, განაცხადა, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ უფრო მეტი საქართველო იქნება ნატოში. ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლები ნატოსგან სერიოზულ გზავნილებს ელოდებიან.

კონფერენციაზე ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მეთაურის მოადგილემ, ბრიტანელმა გენერალმა ედრიან ბრედშოუმ განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები სრულიად თავსებადია ნატოსთან და ამას ჩატარებული წვრთნებიც ადასტურებს.

– ჩემი მოსაზრებით, ეს არის ძალიან მკაფიო სიგნალი. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სრული შესაძლებლობა აქვთ, იმოქმედონ ნატოს ძალებთან, – განაცხადა გენერალმა.



კონფერენციას ასევე ესწრებოდა პრემიერ-მინისტრი. პრემიერმა ნატოს სამომავლო კურსსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ისაუბრა. როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საქართველო არა მხოლოდ სარგებლობს უსაფრთხოების გარანტიებით, არამედ ქმნის მათ.

გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ საქართველო ალიანსისაგან ძლიერ პოლიტიკურ მხარდაჭერას ელის და იმედოვნებს, რომ სამიტზე საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის აღიარება მოხდება.

**გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი:**

– დარწმუნებული ვარ, ვარშავის სამიტზე ალიანსის ერთობისა და ძალის დემონსტრირება კიდევ ერთხელ მოხდება და ნატოს სწრაფვას მშვიდობისა და სტაბილურობისკენ კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი. საქართველო ამაყობს, რომ მას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ახლო და სანდო სტრატეგიულ პარტნიორს, ნატოს გვერდით დგომის შესაძლებლობა ეძლევა. ქვეყანა ახლო მომავალში ალიანსის სრულფასოვანი წევრობისკენ ისწრაფვის. საქართველო ალიანსისაგან ძლიერ პოლიტიკურ მხარდაჭერას ელის. ვიმედოვნებთ, რომ სამიტზე ჩვენ მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის აღიარება მოხდება. რეგიონში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც საქართველომ სტაბილურობის განმტკიცების კუთხით შეიძლება ითამაშოს, ჩვენ ველით კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენი შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობებს.

პრემიერი აცხადებს, რომ ვარშავის სამიტი წევრი-ქვეყნების, განსაკუთრებით, ალიანსის აღმოსავლეთი ფლანგის უსაფრთხოების ზრდაზე იქნება კონცენტრირებული და ამ თვალსაზრისით საქართველოს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ვიმედოვნებთ, რომ ამის აღიარება და გათვალისწინება მოხდება. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეები მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითა და ინკლუზიური მიდგომით დაიძლევა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რომელიც ჩვენს თანამშრომლობას უდევს საფუძვლად – ჩვენ გვინდა მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში. გაძლიერებული ანტიდასავლური პროპაგანდის ტალღის მიუხედავად, ჩვენ ძალლონეს არ ვიშურებთ, რომ დავუპირისპირდეთ დეზინფორმაციას და უკუვაგდოთ მზარდი ჰიბრიდული საფრთხეები, თუმცა მხოლოდ ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. ამ მიმართულებით დასავლეთის მხარდაჭერა და ჩართულობა უმნიშვნელოვანესია.

პრემიერის თქმით, საქართველო განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონკრეტულ შედეგებზე, რათა ალიანსს პარტნიორობის ხელშესახები სარგებელი აჩვენოს.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– დეკემბრის მინისტერიალის დროს აღნიშნული მზადყოფნა კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც აღინიშნა, რომ საქართველოს ურთიერთობას ალიანსთან აქვს ყველა პრაქტიკული მახასიათებელი, რაც მის წევრობისთვის მომზადებას უზრუნველყოფს, ხოლო წევრობის სამოქმედო გეგმა (მაპი) ალიანსის ამ გადაწყვეტილების განუყოფელი, პოლიტიკური კომპონენტი გახდა. საქართველო განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კონკრეტულ შედეგებზე, რათა ალიანსს პარტნიორობის ხელშესახები სარგებელი აჩვენოს. ჩვენ სრულად ვიყენებთ ნატოს მექანიზმებსა და პროგრამებს, რათა კიდევ მეტად გავზარდოთ საქართველოს თავსებადობა ალიანსთან.

**თინა ხიდაშელი, თავდაცვის მინისტრი:**

– ყოველი ასეთი სწავლება არის სულ უფრო მეტი სიახლოვის გარანტია საქართველოს შეიარაღებული ძალებისა ნატოსთან. თუმცა, შეიარაღებული ძალების სიახლოვე არ არის საკმარისი და ნატოში გაწევრიანებას სჭირდება პოლიტიკური კონსენსუსი. თავისთავად ის ფაქტი, რომ ჩვენ აქ, ამ მოედანზე, სადაც გვყავდა წარმოდგენილი ქართული ასეული, რომელიც არის ოფიციალურად ნატოს ასეული, მოწმობს, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ფუნდამენტური ნაბიჯები გადავდგით და ძალიან წინ წავედით, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, საბოლოო გადაწყვეტილებას სჭირდება 28-ვე წევრს შორის კონსენსუსი. ეს მხოლოდ იმასთან არ არის დაკავშირებული, რამდენად მომზადებული, ძლიერი და თავსებადი იქნება ჩვენი შეიარაღებული ძალები ნატოსთან.

კონფერენციას, როგორც აღვნიშნეთ, ნატოს წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაიც ესწრებოდა. აპატურაიმ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ საქართველო ნატოს უფრო მეტ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას, ვიდრე ალიანსის სხვა რომელიმე პარტნიორი.

**ჯეიმს აპატურაი, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი:**

– შეხვედრაზე ყურადღება გავამახვილეთ მზადებაზე ვარშავის სამიტისთვის. მზადება, მათ შორის საქართველოს ჩართულობით, ძალიან მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ძირითად, სამ ელემენტზე იქნება საუბარი: პირველი, ჩვენ ვმუშაობთ არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილების განხორციელებაზე, მეორე, ეს არის ახალი ინიციატივები საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერების შესახებ ჩვენთან თანამშრომლობით. მესამე, რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობაა. სამიტის შემდეგ საქართველო უფრო მეტ შეხვედრაში მეტად იქნება წარმოდგენილი, ვიდრე სხვა პარტნიორები.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი აცხადებს, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ „ნატოში უფრო მეტი საქართველო იქნება“.

**ჯეიმს აპატურაი:**

– სადაც არ უნდა წავიდე, არავინ ამბობს, მაგრამ მთავარი საკითხია, თითქოს ნატო ცდილობს, ააშენოს კედლები და დაიცვას თავისი წევრები. რუსეთს კი ამ კედლებს იქით წარმატებებს ვუსურვებთ ანუ ეს ნიშნავს უსაფრთხოების გამყარებას. ყველა მონეტას ორი მხარე აქვს. ეს არის ჩვენი ალიანსის წევრებისა და პარტნიორების უსაფრთხოება. ჩვენთვის მთავარია, როგორ დავამარცხოთ საფრთხეები და გაიმარჯვოს უსაფრთხოებამ. რაც შეეხება შავ ზღვას, ის ახალი საკითხია, ახალია ასევე ყირიმის საკითხი, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შავ ზღვაზე წვდომას. რაც შეეხება საქართველოს, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ უფრო მეტი ნატო გვაქვს, მაგრამ გვინდა უფრო მეტი ნატო საქართველოში.

---

# გოგი თოფაძე: „კოღუაშვილის წინააღმდეგ რადიკალური ზომები გატარდება“

## ვისთან გაერთიანდებიან მრეწველები

შორენა მარსაგიშვილი

**უახლოეს მომავალში შესაძლოა ახალი კოალიციის შექმნის მომსწრენი გავხდეთ. უკვე დიდი ხანია მიდის საუბრები იმაზე, რომ მრეწველები ე.წ. პროდასავლურ ძალებთან ალიანსის შექმნას აპირებენ.**

ამ თემაზე ჯერ კიდევ მაშინ საუბრობდნენ, როცა მრეწველები კოალიცია „ქართული ოცნების“ კედელში მყარად იყვნენ ჩადუღაბებულნი. ცოტა ხნის წინ გადაწყდა, რომ ამ კოალიციაში შემავალი სუბიექტები დამოუკიდებლად აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

მრეწველებისთვის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა სიახლე არ იქნება. მათ ორჯერ უკვე შეძლეს საარჩევნო ბარიერის გადალახვა. უიმედობა არც ახლა ეტყობათ, მაგრამ მაინც გაერთიანებისკენ უჭირავთ თვალი.

ამ ეტაპზე სასურველი პარტნიორი ჯერ არ შეურჩევიათ და როგორც გოგი თოფაძე აცხადებს, არაა გამორიცხული, არჩევნებზე დამოუკიდებლად გავიდნენ.

პარტიის ლიდერი არ უარყოფს, რომ განიხილება თანამშრომლობის სხვადასხვა ვარიანტები. ერთი ვერსიით მრეწველები პატრიოტთა ალიანსთან დაწყვილდებიან, მეორე ვერსიით – ნინო ბურჯანაძის პარტიასთან.

აქტიურად მიდის საუბრები იმაზეც, რომ მრეწველთა რიგებში შესაძლოა სანდრო ბრეგაძე და თამაზ მეჭიაურიც ვიხილოთ. თოფაძე ამბობს, რომ ჯერ არაფერი არ არის გარკვეული. მისი ვარაუდით, რაღაცები ივლისის თვეში გაირკვევა.

– თუ ვინმესთან გავერთიანდებით, სწორედ ეს გუნდი იქნება. კარგი ურთიერთობა გვაქვს, ვხედავთ ალიანსის აქტიურობას, მაგრამ ცალ-ცალკე რომ გავიდეთ, უფრო მეტი ვიქნებით, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული უცხოელების რჩევაზე. ჩვენ ჩვენი პლუსები გვაქვს, ნინო ბურჯანაძეს თავისი, ალიანსს სერიოზული აქტივები აქვს... ვნახოთ, რა იქნება. ამ გუნდის ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ვიყოთ და მეტი ძალა გვქონდეს პარლამენტში, ხოლო თუ რომელი ვარიანტი იქნება ყველაზე მისაღები, ამას ივლისში უფრო კონკრეტულად გეტყვით. გულწრფელად გეუბნებით, რომ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, – განაცხადა თოფაძემ.

მართალია „ქართული ოცნების“ შიდა სამზარეულოში აღარ ერევა, მაგრამ ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით კოღუაშვილის მერაბიშვილუგულავას მადიდებელი განცხადებებით შეურაცხყოფილია.

მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამის გამო კოღუაშვილს პარტიის პოლიტსაბჭოზე სულ თითი უქნიეს. თოფაძე 21 მაისს გამართულ თავყრილობას არ დასწრებია, მაგრამ ამცნეს, რომ კოღუაშვილს ამ განცხადებების გამო ბოდიში მოახდევინეს.

– პოლიტსაბჭოს ჩვენ აღარ ვესწრებით, რაც კოალიცია დაიშალა, მაგრამ ცხადია, ინფორმაცია მოგვდის. ძალიან სერიოზული კრიტიკა იყო თითის ქნევით და გააფრთხილეს, ასეთი გამოცდილი პოლიტიკოსი ხარ და ასეთი უაზრობა როგორ ჩაიდინეო, – განაცხადა გოგი თოფაძემ.



მისივე ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა დავით კოღუაშვილთან მიმართებაში უფრო რადიკალური გადაწყვეტილება მიიღოს.

* * *

გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის რამდენიმე წევრმა დავით კოღუაშვილის გარიცხვის საკითხიც კი დააყენა. მისი გარიცხვა მხოლოდ იმიტომ გადაიფიქრეს, რომ კოღუაშვილი პრემიერ კვირიკაშვილის კადრია. თუმცა თუ თოფაძეს დავუჯერებთ, რადიკალური ზომები მაინც იქნება მიღებული.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# „ქართული ოცნება“ გახდა ნაციონალური მოძრაობა 2“

## ბესო დანელია: „26 მაისის სადამსჯელო ოპერაციის შედეგად კიდევ 8 ადამიანი დაიღუპა“

**რით დაემსგავსა „ქართული ოცნება" ყოფილ ხელისუფლებას, რატომ არ მოხდა ბოლომდე 2011 წლის 26 მაისის დარბევის გამოძიება, ვისი სახელით შეაქო დავით კოლუაშვილმა მერაბიშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბესო დანელია ესაუბრება.**



**ბესო დანელია:**

– 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაციიდან 5 წელი სრულდება. ჩვენ, სახალხო კრების და დემოკრატიული მოძრაობის წევრები წელსაც რუსთაველზე შევხვდებით 26 მაისს და კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ჩვენს თანამებრძოლებს, რომლებიც სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა იმსხვერპლა. 2011 წლის 26 მაისი იყო ქართველი ხალხის თავისუფალი ნების სისხლში ჩახშობის მცდელობა. ასეთი რამე 1989 წლის 9 აპრილს როდიონოვის ჯალათებსაც კი არ გაუკეთებიათ. მათ, სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, ხალხს გასასვლელი მისცეს.

26 მაისის ღამეს მომიტინგეები მთლიანად მოაქციეს ალყაში და დაუნდობლად გაუსწორდნენ მათ. ეს გაკეთდა იმისათვის, რომ ხალხს ნაციონალების წინააღმდეგ გამოსვლა აღარ გაებედა. იმ ღამეს ამ ამბავს 4 ადამიანი ემსხვერპლა.

ამ სისხლიანი ოპერაციის დასრულების შემდეგ, სისხლით მორწყული რუსთაველის გამზირი გადარეცხეს და აღლუმი გამართეს. ეს იყო ამაზრზენი სანახაობა, მაგრამ იქ კიდევ უფრო უარესი რამე მოხდა – იმ ადგილიდან რამდენიმე მეტრში, სადაც ნაციონალები ზეიმობდნენ, ჯიხურის თავზე ნიკუშა კვინტრაძის და სულიკო ასათიანის გვამები იყო შემოწყობილი. ამის შესახებ აღლუმის ორგანიზატორებმა ძალიან კარგად იცოდნენ.

– ისინი დღემდე ამტკიცებენ პირველ ვერსიას რომ თითქოს კვინტრაძე და ასათიანი სახურავზე ავიდნენ, წვიმდა და დენმა დაარტყა.

– ეს არის ნიკუშას და სულიკოს მკვლელობის „გაპრავების“ მცდელობა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ერთი მათგანი დიღომში, პოლიციის სამმართველოში მოკლეს ცემით, ხოლო მეორე – რუსთაველზე. არც ერთი მათგანის მკვლელი დასჯილი არ არის.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ეს საშინელება „გააპრავეს“ დასავლეთის ქვეყნების ელჩებმა, რომლებიც გვერდით ედგნენ აღლუმზე სააკაშვილს. ყველა მათგანმა შესანიშნავად იცოდა, რაც მოხდა წინა ღამეს. ეს გახლავთ დასავლური ორმაგი სტანდარტები, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმს მისცა ბიძგი, მისულიყო ავტორიტარიზმიდან დიქტატურისაკენ და ასე სასტიკად გასწორებოდა საკუთარ ხალხს.

ჩვენთვის 26 მაისი ყოველთვის მძიმე გასახსენებელი იქნება, მაგრამ ეს იყო დიდი გამარჯვებაც. სწორედ 2011 წლის 26 მაისს აეხადა საბოლოოდ ფარდა სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს. ბიძინა ივანიშვილმა, როგორც თავად თქვა, სწორედ ამ დღის შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა.

მინდა ყველამ იცოდეს, რომ 26 მაისის დარბევის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა. 4 იმავე ღამეს, ხოლო 8 მოგვიანებით გარდაიცვალა იმ ტრავმების შედეგად, რომლებიც 26 მაისს მიიღეს. ბევრი ჩვენი თანამებრძოლი მთელი ცხოვრება ინვალიდად დარჩება. 26 მაისის ღამეს 800 ადამიანი დააკავეს. მომდევნო დღეებში კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანის დაპატიმრება მოხდა.

არ შემიძლია არ გავიხსენო იმ საშინელ ღამეს დაღუპული პოლიციელი, რომელიც ასევე ნაციონალების რეჟიმის მსხვერპლია. ეს ბიჭი თავად მოკლეს და შემდეგ ბურჯანაძის კორტეჟს შეუგდეს. ყველა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ბურჯანაძის კორტეჟს არანაირი შეხება არ ჰქონია ადამიანთან.

***– ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა ამ სისხლიანმა ღამემ გადააწყვეტინა. ხელისუფლებამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება და ამის გამო ვანო მერაბიშვილი დღეს ციხეში ზის. ცოტა ხნის წინ გამოვიდა ივანიშვილის პარტიის ერთ-ერთი ახალი ლიდერი კოლუაშვილი და განაცხადა, რომ მერაბიშვილი კარგი ადამიანი და გარემოების მსხვერპლია. ამაზე რა შეგიძლიათ თქვათ?***

– სანამ კოლუაშვილის განცხადებას შევაფასებდე, აუცილებლად უნდა ვისაუბრო 26 მაისის საქმეზე. ეს დანაშაული ბოლომდე არ არის გამოძიებული. ვანო მერაბიშვილი 26 მაისის დარბევის გამო არ დაუკავებიათ. ეს ფაქტი მის საქმეში ერთ-ერთი ეპიზოდია მხოლოდ. 26 მაისის სპეცოპერაციის დამკვეთები, მისი მომმზადებლები და შემსრულებლები დასჯილები არ არიან.

რაც შეეხება კოლუაშვილის განცხადებებს, ეს იმდენად უპასუხისმგებლო განცხადება იყო, რომ მის მაგივრად გიორგი კვირიკაშვილმა ლამის ბოდიში მოიხადა. საქართველოს პრემიერმა აღნიშნა, რომ ასეთი სულელური განცხადება მას არასდროს მოუსმენია.

***– ბევრი თვლის, რომ კოლუაშვილმა ამ განცხადებით ხელისუფლების პოზიცია გააჟღერა.***

– მე ასე არ მგონია და დარწმუნებული ვარ, ამ განცხადებასთან „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს არანაირი შეხება არა აქვთ. ეს იყო მხოლოდ დავით კოლუაშვილის განცხადება, რომელმაც სამართლიანად გააღიზიანა საზოგადოების დიდი ნაწილი. განსაკუთრებით გავღიზიანდით ის ხალხი, რომლებიც ნაციონალური რეჟიმის მსხვერპლი ვიყავით.

ჩვენთვის ძალიან მძიმე მოსასმენია, როდესაც გვესაუბრებიან, რომ მერაბიშვილი, ადეიშვილი და უგულავა გარემოების მსხვერპლი არიან. ეს ის ხალხია, რომლებმაც ბოროტების რეჟიმის შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანეს. ასეთი უპასუხისმგებლო და აბსურდული განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ „ოცნებაში“ ჯერ კიდევ მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ კოაბიტირებენ ნაციონალებთან, არამედ მათთან გარიგებული არიან.

ამ გარიგებებმა და აბსურდულმა განცხადებებმა მიგვიყვანა იმ პროცესებამდე, რომლებიც რამდენიმე დღის წინ სამეგრელოში, სოფელ კორცხელში ვიხილეთ. კორცხელის ინციდენტი დასტურია იმისა, რომ „ქართული ოცნება“ გახდა ნაციონალური მოძრაობა 2. ისინი ძველი ხელისუფლების მეთოდებით გაუსწორდნენ ნაცმოძრაობის ლიდერებს.

ნაცმოძრაობის ლიდერებს კი მათ მიერ ჩადენილი საქციელი ბუმერანგივით დაუბრუნდა უკან. ისინი „ქართული ოცნების“ ზონდერჯგუფის მიერ გაილახნენ. ნაციონალები სწორედ ასე ექცეოდნენ თავიანთ ოპონენტებს. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენო ის ინციდენტი, რაც ჩვენს პარტიას სოფელ ხურვალეთში შეემთხვა. იქ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ჩავედით. ნაციონალებმა თავიანთი ზონდერები დაგვახვედრეს, რომლებმაც ქვები და ლოდები დაგვიშინეს. ასეთი დახვედრა ყველა იმ პარტიას აქვს გამოცდილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმთან არ თანამშრომლობდა.

კორცხელის ინციდენტის დროს პოლიცია გამშველებლის როლს მაინც ასრულებდა, ნაციონალების დროს პოლიცია ასეთ ფაქტებზე რეაგირებას არც კი ახდენდა. ახლა ნაციონალებს არბევენ ზონდერები. ვიღაცას შესაძლოა ამან გული მოფხანა, მაგრამ ეს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. მინდა გაგახსენოთ ისიც, რომ ნაციონალები თავიდან მხოლოდ ოპონენტებს უსწორდებოდნენ და შემდეგ უკვე მთელ ქვეყანას მისდგნენ.

***– ფიქრობთ, რომ შესაძლოა „ქართულმა ოცნებამაც“ იგივე გააკეთოს?***

– ისინი წარმატებით ითვისებენ ნაციონალების მეთოდებს. 4 თვეში არჩევნებია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ორივე ძალა გავუშვათ ხელისუფლებიდან. არც ერთი და არც მეორე სახელმწიფოს ინტერესებს არ ემსახურებიან. ისინი მხოლოდ საკუთარი სკამების შენარჩუნებაზე ზრუნავენ და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წავლენ.

***– ზემოთ თქვენ კორცხელში მომხდარი ინციდენტი დაგმეთ და ნამდვილად არ მეგონა, თუ ამას გააკეთებდა ის ადამიანი, რომელსაც წლების წინ ნაციონალები სასტიკად გაუსწორდნენ.***

– ადამიანური მომენტიდან გამომდინარე, შესაძლოა, მეც გამეხარდა, რომ ნაციონალები გალახეს. 2011 წლის 21 მაისს, ჩვენ მიერ ორგანიზებული აქციების დაწყების დღეს, საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად საშინელ დღეში ჩამაგდეს. ზონდერებისა და კუდის თანამშრომლების თავდასხმის შედეგად კოჭის არეში 3 მოტეხილობა მივიღე. ამის გარდა, 2 მალა მქონდა ამოვარდნილი. 6 თვის მანძილზე ლოგინიდან ვერ ვდგებოდი.

მე და ჩემმა თანამებრძოლებმა, ათეულობით ათას საქართველოს მოქალაქესთან ერთად, იმ რეჟიმისგან ბევრი უბედურება გადავიტანეთ და აქედან გამომდინარე გული მოგვფხანა ნაციონალების გალახვამ, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ინტერესები. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ერთსა და იმავე წრეზე ვიაროთ. ჩაკეტილ წრეზე სიარული არის საშინელება.

კორცხელის ინციდენტმა ცხადყო, რომ რაც დათესე, იმას აუცილებლად მოიმკი. ამიტომ ვამბობ, რომ დაუშვებელია ისეთი მეთოდებით ბრძოლა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალებიდან გადმოიღო. დემოკრატიული ქვეყნის აშენება თუ გვინდა, შურისძიებასა და პირად ემოციებზე მაღლა უნდა დავდგეთ. ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოხდეს სამართლიანობის აღდგენა.



სამართლიანობის აღდგენა რომ მომხდარიყო და ნაციონალების დროს ჩადენილი დანაშაულები კომპეტენტურად გამოეძიებინათ, ის აღარ მოხდებოდა, რაც კორცხელში ვიხილეთ. არც ადამიანებს გაეხარდებოდათ ასე ვიღაცების ცემა. ახლა უხარიათ იმიტომ, რომ მათში უსამართლობის განცდაა დაგროვილი.

„ქართული ოცნების“ უმთავრესი დანაპირები იყო სამართლიანობის აღდგენა. ეს დაპირება არ შეუსრულებიათ. უამრავი ადამიანისგან გამიგონია, რომ ხელისუფლებისგან იმედგაცრუებულები თავად აპირებენ სამართლიანობის აღდგენას. ძალიან კარგად მესმის ყველა მათგანის, მაგრამ ვთხოვ, რომ პირად შურისძიებაზე ფიქრი დაივიწყონ. სახელმწიფო იმისთვის არის სახელმწიფო, რომ თავისი მოქალაქე დაიცვას. არჩევნები მოდის და მოსახლეობას შეუძლია თავისი პოზიცია საარჩევნო ყუთთან დააფიქსიროს და ისეთი ძალა აირჩიოს, რომელიც სამართლიანობას აღადგენს.

# პაატა ზაქარეიშვილი ხურჩის ინციდენტზე გაკეთებულ კომენტარს ნანობს



სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ხურჩაში მომხდარი მკვლელობის შესახებ თავის მიერ გაკეთებული პირველი კომენტარის გამო სინანულს გამოთქვამს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოხელეები განცხადებებს მეტი სიფრთხილით უნდა აკეთებდნენ.

– ის, რაც ხურჩაში მოხდა, რა თქმა უნდა, საშინელებაა. საერთოდ ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე, მით უმეტეს მაღალი რანგისა, მეტად უნდა აკვირდებოდეს თავის სიტყვებს.

მას შემდეგ, რაც მე მინისტრი ვარ, პირველად მაქვს განცდა ღრმა სინანულისა. ჩემი სიტყვები არათუ არასწორად იქნა გაგებული, არამედ არასწორად იყო ნათქვამი. მინდა სინანული გამოვხატო განსაკუთრებით გიგა ოთხოზორიას ოჯახის წევრების მიმართ, რომლებმაც ეს მტკივნეულად აღიქვეს. ვნანობ და ვფიქრობ, ეს იყო წინდაუხედავი და წამოცდენილი სიტყვა. ვაპირებ, დაკრძალვაზე ჩავიდე და პატივი მივაგო გარდაცვლილის ხსოვნას, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

როგორც პაატა ზაქარეიშვილმა თავდაპირველად საკითხზე კომენტირებისას აღნიშნა, ეს არის საშინელი მკვლელობა, სისხლის სამართლის უდიდესი დანაშაული, მაგრამ ქვეყანაში მდგომარეობა მძიმე არ არის. მისი თქმით, მოხდა ერთჯერადი მკვლელობა და ეს არ არის სისტემური ხასიათის, რაც იყო ნაციონალური მოძრაობის დროს.

შეგახსენებთ, რომ ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რუსმა ე.წ. მესაზღვრემ გალის რაიონიდან დევნილი, 1986 წელს დაბადებული გიგა ოთხოზორია მოკლა.

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. მესაზღვრე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდა და ოთხოზორიას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

შორენა მარსაგიშვილი

# „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია“

## ლადო სადღობელაშვილი: „ხელისუფლების ზოგიერთი წევრი უკვე გასაქცევად ემზადება“




**რაზე მიანიშნებს 22 მაისს გამართული შუალედური არჩევნები, რამდენი დარჩა დრო ხელისუფლებას, ვინ აპირებს ქვეყნიდან გაქცევას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის" ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– 22 მაისს საქართველოში გაიმართა შუალედური არჩევნები. 10 უბანზე ნაციონალებს თავიანთი კანდიდატები ოთხგან ყავდა წარდგენილი. ამ 4 უბნიდან ყოფილმა ხელისუფლებამ 2 მოიგო. ეს არის საგანგაშო სიგნალი და იმის დადასტურება, რომ ხელისუფლება სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი ხალხი შემოიკრიბა გარშემო, რომლებსაც ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლაში თითი-თითზე არ დაუკარებიათ.

ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ „ქართული ოცნება“ ლატენტურ ნაციონალებს უფრო დააფასებდა, ვიდრე ერთგულ თანამებრძოლებს. ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან. ალბათ ყველას გვახსოვს 2009 წლის აქციები. 2009 წლის 5 მაისს პოლიციის სამმართველოსთან სერიოზულად დაიძაბა ვითარება. 3 ახალგაზრდა რეზიკო რევაზიშვილი, გიორგი ონიანი და მელორ ვაჩნაძე სამმართველოს ეზოში გადახტნენ. ეს მაშინ სიკვდილზე წასვლის ტოლფასი იყო.

რეზიკო რევაზიშვილს აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ მთელი ამ წლების მანძილზე მუშაობის დაწყებას ვერ ახერხებდა. ის რკინიგზის დეპარტამენტში მუშად დაასაქმეს. გიორგი ონიანი რუსთავის მერიაში მუშაობდა. 2014 წელს ქალაქის მერი გახდა ლატენტური ნაცი და გიორგი სამსახურიდან გამოუშვეს.

სამაგიეროდ დააწინაურეს ნაცები და ის ხალხი, რომლებიც სკამიდან-სკამზე ხტებოდნენ. ისინი შესაძლოა მალე კიდევ სხვა სკამებზე გადახტნენ. არაერთხელ ითქვა და მეც გავიმეორებ, რომ ბიძინა ივანიშვილს ერთგული ხალხი ჩამოაცილეს. შესაბამისად მასთან აღარ მიდის ზუსტი ინფორმაციები და მასაც უჭირს სწორი დასკვნების გამოტანა. იმედი მაქვს, რომ ამაში მას 22 მაისს გამართული არჩევნები დაეხმარება.

***– ამ არჩევნების შედეგებით „ქართული ოცნება“ კმაყოფილია და რატომ გგონიათ, რომ ივანიშვილი იქნება უკმაყოფილო?***

– ამ შედეგით კმაყოფილი როგორ შეიძლება ვინმე იყოს? 4 ოლქი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## უჩა ნანუაშვილი: „თუ კორცხელის ინციდენტის დამნაშავეები არ დაისაჯნენ, ვიღაცა ამ დანაშაულს ხელს აფარებს“



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მიესალმება საარჩევნო პროცესში ძალადობაზე სანქციების გამკაცრებას, თუმცა მიიჩნევს, რომ კორცხელის ინციდენტზე რეაგირება მოქმედი ნორმებით უნდა მოხდეს.

**უჩა ნანუაშვილი:**

– ზოგადად, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუკი მოხდება გამკაცრება, მაგრამ მოქმედი ნორმები, მე ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა იყოს გამოყენებული. უნდა მოხდეს რეაგირება დაუყოვნებლივ ყველა ასეთ ძალადობრივ ინციდენტზე. არსებობს არაერთი მტკიცებულება, მათ შორის ვიდეო და ფოტომასალა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოლოდინია, თუ არ მოხდება დაუყოვნებლივ რეაგირება ასეთ ფაქტებზე, ეს ნიშნავს წახალისებას ხელისუფლების მხრიდან. ეს არის მთავარი მესიჯი მოსახლეობისთვის და ამიტომ ეს არის ყველაზე სამწუხარო ჩვენთვის. თუ დამნაშავეები არ დაისაჯნენ, ეს ნიშნავს, რომ ვილაცა ხელს აფარებს ამ დანაშაულს.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, სისხლის სამართლის კოდექსს ახალი მუხლი დაემატება, რომელიც პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობასთან დაკავშირებით სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს.

წულუკიანის თქმით, ეს მუხლი სისხლის სამართლის წესით დასჯადს გახდის ძალადობას ან ძალადობის მუქარას საარჩევნო უბანზე, წინასწარი საარჩევნო კამპანიის, აგიტაციის ადგილას ან თუნდაც მათ მიმდებარე ტერიტორიებზე.

მისივე თქმით, ეს მუხლი იქნება სხვადასხვა ნაწილისგან შემდგარი. თუკი საქმე შეეხება ჯგუფურად ჩადენილ ქმედებას, შეიძლება, სანქცია ოთხ წლამდე პატიმრობაზეც გავიდეს, ხოლო შედარებით მსუბუქ შემთხვევებში, სადაც პირს არ მიუღია ფიზიკური დაზიანება, სასჯელი, რომელსაც ექნებოდა გადამარწმუნებელი ეფექტი, შეიძლება იყოს ჯარიმა და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

**მედიანიუსი**

## თამაზ მეჭიაური: „მან, ვინც სხვის დაპატიმრებებში მონაწილეობდა, დაცვით იაროს“



დეპუტატ თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ის ადამიანები, რომლებიც სოფელ კორცხელში მომხდარი ინციდენტისას დაზარალდნენ, ხშირად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სადამსჯელო ოპერაციაში. ამიტომ შეიძლება საქმე პირად ანგარიშსწორებას ეხებოდეს, რადგან მმართველმა გუნდმა სამართლიანობის აღდგენა ვერ შეძლო. თამაზ მეჭიაურის თქმით, ადამიანებმა, რომლებსაც სხვის დაპატიმრებებსა და დარბევებში აქვთ მონაწილეობა მიღებული, აჯობებს, დაცვით იარონ.

– ეგრეთ წოდებული დაზარალებულები საკმაოდ ხშირად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სადამსჯელო ოპერაციაში, ამიტომ მათ, ვისაც ზომაზე მეტად აქვთ მონაწილეობა მიღებული სხვის დაპატიმრებებსა და დარბევებში, აჯობებს, დაცვით იარონ, რადგან ხელისუფლებამ ვერ შეძლო სამართლიანობის აღდგენა იმ დოზით, რა დოზითაც მოსახლეობას შეჰპირდა, – განუცხადა თამაზ მეჭიაურმა ჟურნალისტებს და დასძინა, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და მასთან დაკავშირებულ პარტიებს მოახლოებული არჩევნების ,,თბილისურ მაიდანად“ ქცევა უნდათ და ხელისუფლებამ ამგვარი მცდელობები უნდა აღკვეთოს.

**მედიანიუსი**

## ტერაბანკი terabank კორ სტანდარტ ბანკი სახელს იცვლის

24 მაისიდან კორ სტანდარტ ბანკის აბრებს ფილიალებზე ველარ შეხვდებით. ბანკის ოფისებზე უკვე ახალი სახელწოდება – ტერაბანკი ჩნდება. თუმცა ცვლილებები მხოლოდ გარე ფასადსა და სახელს არ ეხება. ბანკმა ერთ წლის წინ ბიზნესსტრატეგია შეცვალა და ძირითად სამიზნე აუდიტორიად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები განსაზღვრა. სწორედ ამან განაპირობა აუცილებლობა, რომ მომხმარებლისთვის ბანკს ახალი სტანდარტის საბანკო მომსახურება განახლებულ, თანამედროვე და განსხვავებულ ფილიალებში შეეთავაზებინა.

რებრენდინგზე თითქმის ერთი წლის განმავლობაში ადგილობრივმა და საერთაშორისო სააგენტოებმა იმუშავეს. მთავარი მიზანი ბანკში უშუალო, მყუდრო და თბილი გარემოს შექმნა იყო. რა სურს მომხმარებელს, როდესაც ის ფილიალში მოდის? ამ კითხვაზე პასუხის მიღებას უცხოელი კონსულტანტები ადგილობრივი, ქართული ბაზრის მომხმარებლებისგან ცდილობდნენ. პასუხი შემდეგნაირია – გამარტივებული პროცედურები, მისაღები პროდუქტები და კომფორტული გარემო. ერთი წლის განმავლობაში დაიხვეწა და გამარტივდა საბანკო პროცედურები, დადგინდა მისაღები და დაბალი ტარიფები პროდუქტებზე და შეიქმნა გარემო, რომლის ანალოგიც საქართველოს საბანკო ბაზარზე ჯერ არ არსებობს.

ტერაბანკი ერთადერთი ბანკია, რომელიც სახლს ჰგავს. ბანკის ფილიალში სტუმრობისას თავად დარწმუნდებით, რომ ეს არ არის მოსაწყენი საოფისე გარემო ერთფეროვანი კედლებით, ხანგრძლივი რიგებითა და მოწყენილი კონსულტანტებით. იქიდან გამომდინარე, რომ ტერაბანკის სლოგანი ფინანსური სახლია, აქ თანამშრომლები მომხმარებელს, როგორც საპატიო სტუმარს, ისე მასპინძლობენ, უწევენ პროფესიონალურ საბანკო მომსახურებას და მხოლოდ პოზიტიურ განწყობასა და თავაზიანობას ამჟღავნებენ.

ტერაბანკის ისტორია ქართულ საბანკო სივრცეში 17 წელს ითვლის. თავდაპირველად ის „საქართველოს აგრო ბიზნეს ბანკის“ სახელით დაარსდა, 2005 წლიდან კი – „სტანდარტ ბანკისა“ და უკვე მოგვიანებით – „კორ სტანდარტ ბანკის“ სახელით პოზიციონირებდა. ბანკი არაბული კომპანიის – „დაბი ჯგუფის“ მფლობელობაშია. აქციების 45%-ის მფლობელი არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხი ნაჰაიან მუბარაქ ალ ნაჰაიანია. ის საქართველოში 250 მილიონი დოლარის ინვესტიციას ახორციელებს და, როგორც ცნობილია, ამ თანხის მოცულობის გაზრდას გეგმავს.






# სოსო მანჯავიძე: „ნაცმოძრაობა არ იძლევა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების განვითარების შესაძლებლობას“

მარიამ მჭედლიშვილი

**საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადრე დაწყებული კოაბიტაციის გაღრმავებაზე საუბრობს. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები საჯაროდ ერთმანეთს ეკამათებიან და ცხვირ-პირსაც ულეწავენ, რეალურად, ისინი ერთმანეთის მოკავშირეები გამოდიან, მათ შორის კი კოაბიტაცია ღრმავდება.**

სოსო მანჯავიძე:

– ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში განვითარდა საშინელი მოვლენები, რომლებმაც კიდევ უფრო გააძლიერა ნაციონალური მოძრაობა. ამ ინციდენტის შემდეგ არ წყდება იმ პირების დასისხლიანებული სახეების ტირაჟირება, რომლებიც თვითონ ბოროტებასთან, სისასტიკესთან და სიძულვილთან ასოცირდებიან.

*– ვის გულისხმობთ?*

– ნაცმოძრაობის აქტივისტებს. მოხდა ასეთი რამ – პარტია, რომელიც თავისი მმართველობის 10-წლიან პერიოდში დაკავშირებული იყო სისხლთან და აგრესიასთან, ამ მიმართულებას აგრძელებს. სააკაშვილის პარტია ხალხს ახსოვს იმით, რომ რეპრესიებს ატარებდა საკუთარი მოქალაქეების მიმართ; ადამიანებს ქუჩაში ხოცავდა; ორგანიზებას უკეთებდა სისტემურ დანაშაულს; ებრძოდა ტრადიციებს. ფაქტია, რომ ეს ორგანიზაცია ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც აგრძელებს ძალადობას. ის ოპოზიციაშიც აგრესიულია.

*– მხარეები ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალადობაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.*

– ბუნებრივია, ასე იქნება. „ქართული ოცნება“ ინფორმაციულადაც მარცხდება. აქ საუბარია იმაზე, რომ აგრესიას არ ანელებს და ძლიერდება პარტია, რომელსაც 2012 წლის შემდეგ ხმა ვერ უნდა ამოეღო. „ქართული ოცნების“ პირობებში ეს ორგანიზაცია მთელი თავისი მრავალრიცხოვანი დანამატებით ძლიერდებოდა. ამ დღეებში ხდება ამ პარტიის განუწყვეტელი ტირაჟირება და რეკლამირება. ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული ნაციონალების მიერ კონტროლირებადი მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

*– საერთოდ, რამ შეუწყო ხელი ამ პარტიის გაძლიერებას?*

– რა თქმა უნდა, კოაბიტაციამ, ასევე „ქართული ოცნების“ უსუსურობამ. ამ 3 წლისა და მეტი ხნის განმავლობაში ხდებოდა არაადეკვატური მოვლენები. ნაცმოძრაობას არა მარტო არ აგებინეს პასუხი სისტემურ დანაშაულებზე და სხვა ქმედებებზე, არამედ ეს პარტია გახადეს სრული მონოპოლისტი ოპოზიციურ ნიშაში. ეს არის აგრესიული და ბოროტებასთან ასოცირებული ძალა. ხალხისათვის საძულველი სახეები ამ პარტიიდან არსად წასულან. ნაცმოძრაობაში, ფაქტობრივად, არანაირი განახლება არ მომხდარა. ის აქტივისტები, რომლებსაც ხალხი ვერ იტანს, ფიზიკურადაც გვირტყამენ და რეკლამასაც იკეთებენ.

*– კორცხელის ინციდენტმა ნაცმოძრაობა პოლიტიკურად კიდევ უფრო გააძლიერა?*

– რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაცმოძრაობა დესტრუქციული, ავტორიტარული, ქვეყნის მოძულე ძალაა, ის იმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, საინფორმაციო უპირატესობა მის მხარესაა. ნაციონალური მოძრაობა ისევ გამოდის საზოგადოების გამხლეჩად. ის არ იძლევა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების განვითარების, ჯანსაღი ოპონირების, მოვლენების განსჯის შესაძლებლობას. ამის გამო პოლიტიკურ სივრცესა და მთლიანად საზოგადოებაში აგრესია და არაჯანსაღი ატმოსფეროა.



*– ეს ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ მომავალი პარლამენტი მთავარმა სპარინგ-პარტნიორებმა-„ქართულმა ოცნებამ“ და ნაცმოძრაობამ შეავსონ და სხვებს დაბრკოლებები შეუქმნან?*

– ნამდვილად აქეთკენ მიდის ყველაფერი. მათი მოქმედებების შედეგად ჯანსაღი პოლიტიკური პროცესებისათვის, სხვა ძალებისათვის ადგილი აღარ რჩება.

*– შეიძლება ითქვას, რომ კოაბიტაცია გრძელდება?*

– კოაბიტაცია არა თუ გრძელდება, არამედ ღრმავდება. ეს ორი ძალა ურთიერთდაახლოების ახალ ფაზაში იმყოფება.

# შალვა ხაჭაპურიძე: „კანონი თუ არ გამკაცრდა, 8 ოქტომბერს მასშტაბურ ცემა-ტყეპას მივიღებთ“

ნონა ცაბაძე

**პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობის გამოვლინებაზე სანქციები გამკაცრდება. ეს ინიციატივა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნის და მან აღნიშნული კანონპროექტის მომზადება იუსტიციის მინისტრს დაავალა.**



როგორც ცნობილი ხდება, კანონი მართლაც მკაცრდება და ჯგუფური დანაშაულის დროს სანქცია 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო თუ პირს ფიზიკური დაზიანება არ ექნება მიღებული, გათვალისწინებული იქნება ჯარიმა ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნულ ინიციატივას არ იზიარებენ და აცხადებენ, რომ კანონი საკმარისად მძიმეა და მისი უფრო მეტად დამძიმება საჭირო არ არის.

აღნიშნული ცვლილების პაკეტს პარლამენტი 27 მაისის სხდომაზე განიხილავს.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

***– ბატონო შალვა, როგორ აფასებთ პრემიერ-მინისტრის ინიციატივას? უნდა გამკაცრდეს კანონი პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობის გამოვლინების დროს?***

– რაც მოხდა, ის ძალიან ცუდი ფაქტია, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ჩასატარებელია გამოძიება, რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი, პროვოკაციებს მართლაც ჰქონდა ადგილი თუ არა, საერთოდ, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე.

***– მხარეები ერთმანეთს სდებენ ბრალად პროვოკაციის მოწყობას.***

– არსებობს ორი აზრი, ერთნი ამბობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, მეორენი ნაციონალებს აბრალებენ, სადაც მათი ლიდერები იყვნენ მობილიზებულნი, სწორედ იქ მზადდებოდა პროვოკაციაო. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია, უნდა ჩატარდეს გამოძიება და გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რეალურად რა მოვლენასთან გვქონდა საქმე. ფაქტია, რომ ცხვირწინ არჩევნები გვაქვს და, თუ გარკვეული პრევენციები არ განხორციელდა, ჩვენ ეს შესაძლოა მთელი საქართველოს მასშტაბით ვიხილოთ 8 ოქტომბერს.

***– ფიქრობთ, რომ უფრო მასშტაბურ ცემა-ტყეპას მივიღებთ 8 ოქტომბერს?***

– თუ კანონი არ გამკაცრდა, ნამდვილად ასე იქნება, შემდეგ კი მავანი დაიწყებს იმაზე საუბარს, რომ ლეგიტიმაცია არ ჰქონდა ამ არჩევნებს და ასე შემდეგ. ამიტომ მე ვემხრობი პრემიერის პოზიციას. რა თქმა უნდა, თუ ხედავ რომ დანაშაული სახეზეა და არ არის საკმარისი სანქცია ანუ ეს შემაკავებლად არ ითვლება ამა თუ იმ ქმედებაზე, მაშინ სანქცია უნდა გამკაცრდეს.

***– ბატონო შალვა, რთული არ იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით არჩევნების დღეს ამ პროცესის გაკონტროლება? ყველგან პოლიცია უნდა დადგეს?***

– რატომ იქნება რთული? ყველა რაიონს ისედაც ჰყავს თავისი პოლიცია, ასევე მუშაობენ უშიშროების სამსახურები. თუ ვინმე ამზადებს რაიმე პროვოკაციას, მათ ამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ უნდა გააჩნდეთ, სამართალდამცავი ორგანოების უფრო მეტი მობილიზება უნდა მოხდეს. ფაქტია, ვიღაცას აწყობს მსგავსი სახის არეულობები.

***– არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები, იგივე ნაციონალები, ეწინააღმდეგებიან ამ ინიციატივას, კანონი საკმარისად მკაცრიაო. ამაზე რას იტყვით?***

– კანონი აუცილებლად უნდა გამკაცრდეს! აქ კანონის არგამკაცრება აწყობთ მხოლოდ იმ ძალებს, რომლებიც გეგმავენ მსგავს არეულობას. ნორმალურად მოაზროვნე და ქვეყნისთვის გულშემატკივარ ადამიანს, ეს უბედურება რაც ნახე, როგორ არ უნდა გინდოდეს, ამაზე კანონი გაამკაცრო?! ამ ყველაფერმა შეიძლება 8 ოქტომბერს სამოქალაქო დაპირისპირების სახე მიიღოს და ამან მთელი საქართველო მოიცვას!

***– სერიოზული კრიტიკა მოჰყვა ამ შუალედურ არჩევნებს, გაკეთდა შეფასებები, რომ დღევანდელი ხელისუფლება ზუსტად იმავე ინსტრუმენტებს იყენებს, რომლებსაც ნაციონალური მოძრაობა იყენებდაო. ასეა?***

– აუცილებლად უნდა ჩატარდეს გამოძიება. ზოგი ამბობს, კალაძე იდგა ამ ყველაფრის უკანო. ათასნაირი განცხადება კეთდება და ამ ფონზე რაიმე სერიოზული შეფასება ძნელი იქნება. ფაქტია, ძალიან ცუდი რამ მოხდა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყო სპონტანური და იქ სპორტსმენთა ჯგუფი მართლაც სულ სხვა რამისთვის იყო ჩასული.

***– ეს ძალიან საეჭვო ხომ არ არის?***

– საეჭვოა და ზუსტად ამისთვის სჭირდება გამოძიება. საეჭვო სხვაც ბევრია ამ ისტორიაში, თუნდაც ნაციონალების ერთად თავმოყრა. რა დიდი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ერთი სოფლის არჩევნებს?! ფაქტია, რომ იქ რაღაც მზადდებოდა და ეს წინასწარ იყო დაგეგმილი! გამოძიებამ დაადგინოს, რა და როგორ, ოღონდ სერიოზულმა გამოძიებამ და არა ისეთმა, რომ დაიწყება და წლობით აღარ მთავრდება. აქ სასწორზე ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი დევს!

***– რამდენად უშველის სიტუაციას სანქციების გამკაცრება?***

– ბოლომდე უშველის-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება. ისეთ პროგნოზებს ვკითხულობ, რა იქნება, კაცმა არ იცის. მხოლოდ ეს ნამდვილად არ იქნება საკმარისი. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ 2016 წლის არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდეს. ეს არის მათი უპირველესი ამოცანა.

***– დღეს იმაზეც საუბრობენ, რომ „ოცნებაშიც“ ძალიან ბევრია ჩანერგილი ნაციონალი.***

– არიან. ძალიან ბევრზე მაქვს ასეთი ინფორმაცია. სამწუხაროა, რომ „ოცნებას“ ოთხი წელიწადი არ ეყო იმისთვის, რომ ამ ჩანერგილებისთვის მიეჩინა ადგილი. ეს ჩანერგილები ჩანან ყოველდღიურ ქმედებებში, ჩანს სასამართლოში, ჩანს პოლიტიკაში და ჩანს ყველგან! რა გახდა ამის მიხედვა, ვერ გავიგე!

# „ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დან ნაციონალებმა 2 მოიგეს. ეს საგანგაშოა და დარწმუნებული ვარ, ივანიშვილს სწორი რეაქცია ექნება.

მათ ბევრი რამის გამო გაანაწყენეს ხალხი, მათი გულის მოსაგებად „ქართულ ოცნებას“ სულ რაღაც 4 თვე დარჩა და თუ მოგება უნდათ, კოღუაშვილები და მისნაირები კი არ უნდა მოიყვანონ, არამედ ღარიბაშვილი დააბრუნონ.

*– დააბრუნებენ ღარიბაშვილს?*

– 22 მაისს გამართული არჩევნების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება გარდაუვალია.

*– რატომ არის გარდაუვალი? რას შეცვლის ყოფილი პრემიერი?*

– მას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. ღარიბაშვილთან რაღაც შეხება მქონდა და ვიცი მისი განწყობა. ის მოწოდებული იყო იმისკენ, რომ დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ ერის გაერთიანება მომხდარიყო.

დღევანდელი „ქართული ოცნების“ „ვერხუშკას“ ნაციონალების დამარცხება არ აინტერესებს. მათთვის მთავარია სანათესავო წაახალისონ და დააწინაურონ. მათი წყალობით მოხდა მოსახლეობის დანაწევრება. იმედია ივანიშვილი ამას დაინახავს და მოვლენებს ღირსეულად შეაფასებს.

*– თუ არ შეაფასა ღირსეულად, რა მოხდება? თავად ამბობთ, რომ მასთან სწორი ინფორმაცია არ მიდის.*

– არც მომავალში არ მიაწვდიან ზუსტ ინფორმაციებს, მაგრამ 22 მაისის არჩევნები ხომ ყველაფერზე მეტყველებს. ამას ხომ მაინც ვერ დაუმალავენ, რომ წააგეს. ეს მხოლოდ 2 უბნის წაგება არ ყოფილა, ეს შედეგი არჩევნებში დამარცხების ტოლფასია. თუ ივანიშვილმა არ შეცვალა ვითარება, ჩავთვლით, რომ მას უნდა ხელისუფლება ნაციონალებს გადააბაროს.

*– ასე იოლად დათანხმდებიან „ოცნების“ წევრები ნაციონალებისთვის ხელისუფლების გადაბარებას?*

– ვინ შეეწინააღმდეგება, კალაძე თუ კობახიძე? მათ ძალიან კარგად იციან, რომ ნაციონალების მობრუნების შემთხვევაში მათ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ. კობახიძეს ხელს არავინ ახლებს, კალაძე მოახტება თვითმფრინავს და „მოხევს“ მილანში. შესაძლოა, არც გაიქცეს, დღემდე მეგობრობს და ქეიფობს ნაცებთან.

ნაციონალების დაბრუნება იმ ხალხისთვის იქნება ტრაგედია, ვინც რეალურად ებრძოდა მათ სისხლიან რეჟიმს. ჩვენზე გადატყდება ჯოხი და ძალიან ბევრი ადამიანი გაუბედურდება. და მე ნამდვილად არ მიბრძოლია ისეთი ძალის ხელისუფლებაში მოსაყვანად, რომელიც ძალაუფლებას ნაცებს გადააბარებდა. ჩვენ იმ „ქართულ ოცნებას“ ვუჭერდით მხარს, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილი და ივანიშვილი მეთაურობდნენ.

*– გავრცელებული ინფორმაციით, 22 მაისს მომხდარი ინციდენტის გამო, კალაძემ სერიოზული შენიშვნა მიიღო ივანიშვილისგან. თქვენ გსმენიათ რამე ამის შესახებ?*

– შენიშვნით თუ შემოვიფარგლებით, ძალიან ცუდად ყოფილა საქმე. არჩევნების მოგება თუ უნდათ, შენიშვნა კი არ უნდა მისცენ, კობახიძე, კალაძე და კოღუაშვილი უნდა მოაშორონ არჩევნებს. ერთი ნაციონალებს მისტირის, მეორე გაუგებარ განცხადებებს აკეთებს, მესამე ბიზნესებს კრიშავს.

ცოტა ხნის წინ გამოვიდა პრემიერი კვირიკაშვილი და განაცხადა, რომ ჩვენი კურსი არის ევროპული. თუ ევროპული კურსი აქვთ აღებული, ამ ზონდერებს რას დაატარებენ აქეთ-იქეთ.

*– არ თქვათ ახლა, რომ ქოცთა ზონდერების მიერ ნაციონალების გალახვა გეწყინათ, თავად აწიოკებდით იმათ ოფისებს.*

– ნაციონალების გალახვა არ მწყენია, მაგრამ არჩევნებზე ზონდერების მიყვანა არის დაუშვებელი. დასჯა თუ უნდათ, იმდენი დანაშაული აქვს ყოფილ ხელისუფლებას ჩადენილი, თავისუფლად შეუძლიათ ისინი ციხეში გაუშვან. ამის ნება არ არის, სამაგიეროდ, ყველას თვალწინ არბევენ მათ და დასავლეთს სალაპარაკოს აძლევენ. აშკარაა, ვიღაცას არ სურს, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩეს.

**გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

გულიკო ბალაძე

# პეტრე მამრაძე: „ნაციონალებს ნებისმიერი ძალადობა აწყობთ“



## კვირიკაშვილისა და სხვების პოზიცია მყარია. იმედი მაქვს, არ აჰყვებიან ნაცისტებს, მათ ბოევიკებსა და პროვოკაციებს.

**პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე ზუგდიდის რაიონ სოფელ კორცხელში არჩევნების დღეს მომხდარ დაპირისპირებასა და ძალადობას გმობს, თუმცა, მისი განცხადებით, ნებისმიერი ძალადობა აწყობთ ნაციონალებს.**

– ზოგადად კი ჩვენი საზოგადოება ამგვარ დაპირისპირებას ზიზღით უყურებს. ეს ზიზღი ორივე მხარის მიმართაა. იქ ველარ გაარჩევს ადამიანი, ვინ იყო მსხვერპლი, ვინ დამნაშავე, – აცხადებს პეტრე მამრაძე.

***– ბატონო პეტრე, ცოტა ხნის წინ თქვენ მეუბნებოდით, რომ ნაციონალები საქართველოში რევოლუციური სცენარის განხორციელებას შეეცდებიან. კორცხელში მომხდარი დაპირისპირება რევოლუციური სცენარის ნაწილი ხომ არ არის?***

– ოღონდ ვამბობდი, რომ რევოლუციური სცენარის განხორციელებას ვერ შეძლებენ. ნაცები შეეცდებიან ძალადობას, პროვოკაციას, მაგრამ რევოლუციური სცენარის განხორციელებას ვერ შეძლებენ.

***– რატომ ვერ შეძლებენ?***

– ვერ შეძლებენ, რადგან ნიადაგი არ არის. ჩემი აზრით, კორცხელის დაპირისპირება იყო შემზარავი. მე ყოველთვის ვგმობ ძალადობას. ზნეობრივი უფლება მაქვს, ყველას შევახსენო, რომ როცა კაკო ბობოხიძემ პარლამენტის დარბაზში ხულიგნური თავდასხმა განახორციელა (ფიზიკური თავდასხმაც იყო და გინებაც), მე არც კი მივიხედე მისკენ.

***– თუმცა, მგონი, თქვენ არანაკლებ შეგეძლოთ, საპასუხო რეაქცია გქონოდათ.***

– ეს არც უნდა იკადროს ადამიანმა პარლამენტში. თუ ვინმეს რამე უნდა, რინგი არსებობს. ესენი (მაპატიეთ) ლიპებს ძლივს დაათრევენ და ჩხუბზე აქვთ პრეტენზია, მაგრამ კორცხელში მართლაც ჩანდნენ სპორტულად მომზადებული ადამიანები, რაგბისტები, მოჭიდავეები თუ სხვები.

***– საინტერესოა, ვინ ჩაიყვანა.***

– არ ვიცი, როგორ გაჩნდნენ, მაგრამ ერთი რამ ვიცი – ნებისმიერი ძალადობა აწყობთ ნაცისტებს.

***– რატომ აწყობთ?***

– ნაცისტები თავის დროზე ქვის სროლით მოვიდნენ (როგორც სოზარ სუბარმა აღნიშნა) და ქვის სროლით წავიდნენ.

***– ახლა გამახსენდა, 2003 წლამდე, არჩევნების წინა პერიოდში, ზუსტად ამგვარი დაპირისპირებები იყო, როდესაც სამეგრელოში ჩავიდა სააკაშვილი თავის ჯგუფთან ერთად. შემდეგ ამბობდნენ, რომ დაპირისპირება თვითონ სააკაშვილის მიერ იყო დაგეგმილი. ამის გამო სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით მუდმივად ჩნდება ეჭვი.***

– რა თქმა უნდა, ეჭვი ჩნდება, რადგან, როცა დაგეგმილი არ არის, სააკაშვილი კისრისტეხით გარბის. როცა სააკაშვილი ყოჩაღად გრძნობს თავს, როგორც წესი, პროცესი დაგეგმილია, თორემ პანიკაში ჩავარდება და გაიქცევა. სხვათა შორის, გუშინ ეუბნებოდა კიდეც სააკაშვილი გამარჯვებულ ლაშხიას, აი, მაშინაც ასე იყო, როცა ოცნება მოვიდა, ძალადობა იყოო. მაშინ ნამდვილად დადგმული იყო. ნამდვილად დადგმული იყო 2008 წელს (შემდეგ კადრები აჩვენეს), როდესაც ავტობუსი დაიწვა. მერე ქალი ეუბნებოდა ვიღაცას, ხომ დამპირდით, ქოლგას არ გაგიფუჭებთ, აი, ჩემი ქოლგა გახვრეტილიაო.

2003 წლის რევოლუციის წინაც თითქოს დაუპირისპირდნენ და ნიღაბი ჩამოგლიჯეს. პროვოკაციები, ძალადობა, ცემა-ტყეპა, სისხლიანი სახეები ყოველთვის იყო ნაცისტების ხელწერა. ამიტომ აყოლა არ შეიძლება. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ნაცებს ეს აწყობთ. ეს მათი სტიქიაა.

***– დაპირისპირება და ძალადობა ყოველთვის დასაგმობია. მომხდარს ყველა თავისებურად აფასებს. უკვე გააკეთეს განცხადებები ამერიკის ელჩმა და ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა, რაც აწყობთ ნაციონალებს.***

– ელჩისა და სახალხო პარტიის განცხადებები გასაგებია, როცა აღწევენ მიზანს. სააკაშვილის ხელწერა – მთავარია, მიაღწიო, რომ ეკრანზე დაიდოს სურათი, როცა „კარტინკაზე“ ჩანს, როგორ გდია ბოკერია ძირს, მელიასა და სხვა ცნობად სახეებს ვიღაცები როგორ ურტყამენ, იქ ვიღაც არის დასისხლიანებული, არ ვიცი, რომელი მხრიდან, ოცნებიდან თუ სხვა, ეს არის „კარტინკის“ დადგმა. შეგახსენებთ, როცა ბობოხიძემ შეძლო, ოცნებასთან პარლამენტში მთელი სცენა დაედგა, ეს იყო მათი გამარჯვება. მსოფლიო გაზეთებსა და ტელევიზიებშიც გავიდა, უმრავლესობა ფიზიკურად უსწორდება უმცირესობასო. ჩემთან კი არ გამოუვიდა, არც კი მივიხედე და ჩაუვარდა კოვზი ნაცარში.

***– რა გამოსავალს ხედავთ?***

– ამიტომ ყველას ვაფრთხილებ. ძალადობა ისედაც შემზარავი და დასაგმობია. ამას ემატება ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებაც. ამგვარ დაპირისპირებას საზოგადოება ზიზღით უყურებს. ზიზღი ორივეს მიმართაა. იქ ველარ გაარჩევს ადამიანი, ვინ იყო მსხვერპლი, ვინ – დამნაშავე. უცხო ადამიანი უცხო თვალით რომ უყურებს, რას გაარჩევს, ეკრანზე ხედავს, ურტყამენ იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა ნადავლი ვერ გაიყვეს.

***– ნადავლი ვერ გაიყვეს?***

– დიახ, პოლიტიკოსები მოდიან, რომ იხეირონ. ამის გამო ჩხუბობენ. იდეების ბრძოლა რომ იყოს, დასხდებიან და დისპუტს გამართავენ. აქ არის ბრძოლა გამდიდრებისათვის.

***– ახლა ორივე მხარე ერთმანეთს აბრალებს, თუმცა ეს საქართველოს სახელმწიფოს არ წაადგება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დაპირისპირება ვიზალიბერალიზაციის საწინააღმდეგოდ ვიღაცამ დაგეგმა თუ სტიქიურად მოხდა?***

– კორცხელის დაპირისპირებას ვიზალიბერალიზაციასთან კავშირი არ აქვს. ნაცებმა იციან, რომ გამარჯვების შანსი აქვთ. მათმა კანდიდატმა გაიმარჯვა.

***– თქვენ ამბობდით, ნაციონალებს რევოლუციური სცენარი არ გაუვათო. საარჩევნო კამპანია ახლა იწყება. მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?***

– ასეთი პროვოკაციები მოსალოდნელია. პროვოკაციებმა შეიძლება პიკს მიაღწიოს არჩევნების წინა პერიოდში, სექტემბერ-ოქტომბერში. კვირიკაშვილისა და სხვების პოზიცია მყარია. იმედი მაქვს, არ აჰყვებიან ნაცისტებს, მათ ბოევიკებსა და პროვოკაციებს. ისინი ხომ სადისტური სისტემის შემქმნელები და ლიდერები არიან. მეორე მხრივ, რაც შეეხება რევოლუციურ სცენარს – რევოლუციებს აწყობენ თვითონ მთავრობები.

***– არის თუ არა დღეს რევოლუციური სიტუაცია?***

– როდესაც ქვეყანაში არსებობს რევოლუციური სიტუაცია, როცა ხალხს მეტად მოთმინება არ უნდა, ხოლო ძალაუფლების მქონე ადამიანებს მეტი მართვა არ შეუძლიათ, მაშინ იწყება რევოლუცია, უსათუოდ ჩნდებიან ბელადებიც და მაშინ გარბიან ვიღაც-ვიღაცები უცხო ძალისთვის დახმარების სათხოვნელადაც. დახმარებას ზოგი იღებს, ზოგი – არა. ჯერჯერობით, მიუხედავად ოცნების ძალიან დაცემული რეიტინგისა, რევოლუციური სიტუაცია არ არის. რევოლუციური სიტუაცია არც პარტიებშია. დღეს მათში არ არის ვინმე ლიდერი, ვინც შეიძლება გადალახოს ბარიერი და პარლამენტში შევიდეს, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლა სხვაა. ეს დღეს არავის შეუძლია. ახლანდელმა არჩევნებმა აჩვენა, რომ 9 ოლქიდან 7-ში გაიყვანეს თავიანთი, 2-ში ნაცები გავიდნენ.




# „გენერალური რეპეტიცია“ ჯგუფური მუშტი-კრივის თანხლებით

**მმართველი პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც ჯგუფურ მუშტი-კრივში აშკარად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა, საბოლოოდ 10 ხმით მაინც დამარცხდა ნაციონალურ მოძრაობასთან ზუგდიდის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში, რომელიც კორცხელის თემში გაიმართა. ეს გახლდათ „გენერალური რეპეტიცია“ 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ და პირველი არჩევნები მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალა.**

ამის შესახებ ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ იუწყება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ზუგდიდიდან 10 კილომეტრით მოშორებულ სოფელში განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნების საჭიროება კორცხელის არჩეული დეპუტატის, „თავისუფალი დემოკრატის“ ცოტნე მურღულიას ექვსთვიანმა „შატალომ“ განაპირობა, რის გამოც ზუგდიდის საკრებულომ 2015 წელს მას უფლებამოსილება შეუწყვიტა.

არჩევნების დღეს კორცხელში ჯგუფურ ჩხუბში ჩართულნი აღმოჩნდნენ მოქმედი და ყოფილი სპორტსმენებით დაკომპლექტებული, „ქართული ოცნების“ პარტაქტივი და ნაციონალების მომხრეები. თავდამსხმელებიდან, ყველაზე ცნობილი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების წევრი, ევროპის ვიცეჩემპიონი, 31 წლის ვლადიმერ გეგეშიძე იყო. თავდაცვის სამინისტრო კი სწავლობს ჩხუბში შეიარაღებული ძალების მოსამსახურის ლაშა დვალიშვილის შესაძლო მონაწილეობის ფაქტს.

ჯგუფური ჩხუბის დროს თავის არეში ტრავმები მიიღეს: „ნაცების“ საგარეო მდივანმა გიგა ბოკერიამ, სამეგრელოს ყოფილმა გუბერნატორმა თენგიზ გუნავამ, ნიკა მელიამ, ტელეკომპანია „ოდიშის“ ოპერატორმა ზვიად აბლოთიამ და სხვებმა, ასევე დაშავდა ორი პოლიციელი.

სასტიკი ჩხუბი ხელჯოხების, კასტეტებისა და ქვების გამოყენებით, „ოცნების“ გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ამან ამომრჩეველზე, როგორც ჩანს, საპირისპირო გავლენა იქონია. მათ კორცხელში ხელისუფლება შეცვალეს.

რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელსაც მთავრობაში სამი მინისტრი ჰყავს, დაგმო ნაციონალურ მოძრაობაზე თავდასხმა. „რესპების“ ერთ-ერთ ლიდერი ლევან ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეს მუშტი-კრივი „ქართული ოცნების“ ორგანიზებული იყო: „ეს იყო ხალხი, რომელიც სპეციალურად ჩავიდა იქ ხალხის საცემრად და ზუსტად იცოდნენ, ვინ უნდა ეცემათ და რომელ საათზე. ამიტომ ამ დანაშაულს სჭირდება გამოძიება და დასჯა. ძალადობის ყველანაირი გამართლება არის დაუშვებელი“.

უფრო დიდი უპირატესობით მოიგო ნაციონალურმა მოძრაობამ ოზურგეთის საკრებულოს შუალედური არჩევნები დაბა ნასაკირალის თემში, სადაც გურულებთან ერთად მუსლიმანი აჭარლები ცხოვრობენ. აქ არჩევნები საჭირო მას შემდეგ გახდა, რაც 2014 წელს არჩეული დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“, შოთა ართმელაძე, ანტიკორუფციულმა სააგენტომ 2015 წელს ქრთამის აღებისთვის დააკავა. საბოლოოდ, „ნაციონალების“ კანდიდატმა ნასაკირალში 230 ხმით აჯობა მმართველი პარტიის ფავორიტს.

„ოცნება“ და „ნაციონალები“ წყალტუბოსა და კასპის საკრებულოების შუალედურ არჩევნებშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და აქ გამარჯვება უკვე მმართველ პარტიას დარჩა. წყალტუბოსა და მეტეხის თემებში არჩევნები წინა დეპუტატების გარდაცვალების გამო გაიმართა.

შუალედურ არჩევნებზე დებიუტი ჰქონდა კიდევ ერთ პრორუსულ ძალას, „სახალხო ხელისუფლებას“, რომელსაც ინტერპოლის მიერ ძებნილი ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე რუსეთის მიერ ოკუპირებული უკრაინული ქალაქიდან – დონეცკიდან ხელმძღვანელობს. ახალი პარტიის კანდიდატებმა არჩევნები წააგეს გარდაბნის, გლდანისა და კასპის მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ისევე როგორც ხობის, ყულევის თემსა და ოზურგეთში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი ნინო ლომჯარია ადგილობრივ შუალედურ არჩევნებზე დაკვირვების შედეგად ამბობს, რომ თუ პროკურატურა და შსს კორცხელის თავდასხმაში მონაწილე პირებს არ დააკავებს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება უარესი მოხდეს.

„რას აკეთებდნენ ეს სპორტსმენები, ადამიანები, რომლებიც არ არიან ადგილობრივი ამომრჩევლები? რატომ იყვნენ ისინი მობილიზებულები კორცხელის საარჩევნო უბანზე? ვინ უკეთებდა ამას ორგანიზებას და რა მიზანს ემსახურებოდა მათი იქ ჩაყვანა? მეორე, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ დაპირისპირებაში – თუ როგორი უმოქმედო და, ვიტყოდი, უსუსური არის პოლიციელთა ქმედება. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებები იცვლება, მაგრამ წარსულის შეცდომებზე ვერცერთი ხელისუფლება ვერ სწავლობს“.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კორცხელის მუშტი-კრივის გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო (რაც ცემისთვის მხოლოდ ჯარიმას ან ერთ წლამდე ციხეს ითვალისწინებს – ზ.წ), დაიკითხნენ დაშავებულები, თუმცა ამ დრომდე დაკავებული არავინ არის. თავდასხმაში მონაწილე პირებმა ჩხუბის შემდეგ ღამით ზუგდიდის რესტორან „არგოში“ იქეიფეს და ქალაქი უპრობლემოდ დატოვეს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) აზრით, ინციდენტმა აჩვენა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები სოფელ კორცხელში არასაკმარისი იყო და მათ ვერ უზრუნველყვეს ძალადობის პრევენცია. საიამ ასევე მოუწოდა შსს-ს, გამოიძიოს კორცხელში ჟურნალისტებზე თავდასხმისა და მათთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის ფაქტები. კორცხელის მუშტი-კრივი დაგმო საქართველოში აშშ-ის ელჩმა. იან კელიმ თქვა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით არჩევნების წელს, ასეთი მოვლენების ადგილი არ არის“.

**ნიუსპრესი**

# მამუკა ტუკვაძე: „ხობში არჩევნები კომუნისტურად ჩატარდა“

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“ შუალედურ არჩევნებს მთელი საქართველოს მასშტაბით აკვირდებოდა. ორგანიზაციის თავმჯდომარე და ადვოკატი მამუკა ტუკვაძე აცხადებს, რომ თბილისში არჩევნები ჩატარდა სრულიად მშვიდ და გამჭვირვალე ვითარებაში. რეგიონებში ჩატარებული არჩევნებიც თითით საჩვენებელი იყო, ოღონდ პირიქით.

***– ბატონო მამუკა, თქვენი ორგანიზაცია შუალედურ არჩევნებს აკვირდებოდა. დასკვნები როგორია?***

– არჩევნები თბილისში სულ სხვა ვითარებაში ჩატარდა, რეგიონებში სულ სხვა ვითარებაში.

***– სხვა რა ვითარებაში ჩატარდა?***

– თბილისში არჩევნებზე ამომრჩეველთა 15% მოვიდა, ხოლო რეგიონებში –50-60-67%. იგივე რაოდენობის ამომრჩეველი მივიდა ზუგდიდშიც. ხობში, საერთოდ, კომუნისტური არჩევნები ჩატარდა, მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო და 100% მიიღო.

***– კანდიდატები სხვა პარტიებს არ ჰყავდათ?***

– სხვა პარტიებმა კანდიდატები არ დაასახელეს. მათ შორის, არც ნაციონალებმა. სპეციალურად გაკეთდა. რადგან ნაცმოძრაობამ მხოლოდ ოთხ უბანში დაასახელა კანდიდატები, წინასწარ იკითხებოდა, რომ თავიდანვე იგეგმებოდა პროვოკაცია.

***– ვისი მხრიდან?***

– სავარაუდოდ, ისევ და ისევ ნაცმოძრაობის მხრიდან. მათ შეეძლოთ დაესახელებინათ კანდიდატები ცხრავე უნაბზე. ნაცმოძრაობა ამას მარტო ვერ გააკეთებდა. ეს „ქართულ ოცნებასთან“ კოაბიტირებულებმა გააკეთეს.

ვიქნები სრულიად ნეიტრალური და ვიტყვი, რომ თბილისში არჩევნები ჩატარდა სრულიად მშვიდ და გამჭვირვალე ვითარებაში. მსგავსი არჩევნები გარდაბანში მძიმე ვითარებაში ჩატარდა. თბილისში ახლა ჩატარებული არჩევნები კი იყო ფანტასტიკური, მისათითებელი და სანიმუშო. რეგიონებში ჩატარებული არჩევნებიც თითით საჩვენებელი იყო, ოღონდ პირიქით. წყალტუბოში მძიმე მდგომარეობა სხვა კუთხით იყო – იქ ისევ ნაცმოძრაობა დაუპირისპირდა. ნაცმოძრაობამ ორი რაიონი შეარჩია. ეს იყო ზუგდიდი და წყალტუბო. ან წყალტუბოში უნდა მომხდარიყო კონფლიქტი, ან ზუგდიდში. ეს იყო დაგეგმილი



გივი თარგამაძის მიერ. გივი თარგამაძე არის ზოგადად ასეთი იდეის ავტორი. ზონდერშეტევები გივი თარგამაძის მოგონილია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

***– რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ დაპირისპირება ნაციონალებმა დაგეგმეს?***

– რამდენიმე ფაქტი და ინფორმაცია მაქვს. პირველი – გივი თარგამაძე არის ასეთი ფაქტების სულის ჩამდგმელი. გავიხსენოთ 2003 წლის საარჩევნო პერიოდი. თარგამაძე არის სწორედ ის ადამიანი, რომელსაც ტრენინგები აქვს გავლილი, ასეთი პროვოკაციები როგორ უნდა მოეწყოს. თარგამაძე ამ დაპირისპირების დღეს, საერთოდ, არ გამოჩენილა. მეორეა – კოაბიტაცია. ის სპორტსმენები, კრიმინალები არიან, სპორტსმენები არ არიან. კრიმინალები არიან. მე ერთ-ერთი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ ძალოსნობაში, სპორტთან მთელი ჩემი ოჯახია დაკავშირებული. ამიტომ ვამბობ, ნამდვილი სპორტსმენები ვერ იქნებიან ასეთი გაბოროტებული სახეებით. ისინი ისევ ნაცმოძრაობის ზონდერებია, რომლებმაც „ქართული ოცნების“ დაკვეთა შეასრულეს.

***– თუ „ოცნების“ დაკვეთა შეასრულეს, ნაცმოძრაობის ზონდერები როგორ არიან?***

– ზონდერისთვის არ არსებობს ჯგუფი, ოჯახი, გუნდი. ის არის მისი პატრონი, ვინც თანხას გადაუხდის. ამ შემთხვევაში მათ იმუშავეს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, მაგრამ ნაცმოძრაობის ზონდერები არიან.

***– ნაცმოძრაობის ზონდერებმა ნაციონალებს სცემეს?***

– რა თქმა უნდა, ნაციონალების ზონდერებმა ნაციონალებს სცემეს. ზონდერისთვის არ არსებობს ნაციონალი ზონდერი და ქოციონალი ზონდერი. ზონდერს თუ დაიქირავებს, მაგალითად, კახა კუკავას პარტია, კახა კუკავას სახელით სცემენ ვიღაცას.

***– თქვენ თქვით, კორცხელში ჩასულმა სპორტსმენებმა „ოცნების“ დაკვეთა შეასრულესო. ამის თაობაზე რაიმე ინფორმაცია გაქვთ, თუ ზოგადად ამბობთ?***

– ინფორმაცია მაქვს. უნდათ ოქტომბრის არჩევნებისთვის არეულობა იყოს. ცდილობენ ოქტომბრის არჩევნებისთვის მომზადდეს სარევოლუციო წინაპირობა. ამაში „ქართული ოცნება“ ხელს უწყობს. „ქართულ ოცნებას“ უნდა ხელისუფლებიდან წავიდეს რევოლუციის გზით. ეს არის ყველაზე ცუდი. არავინ ფიქრობს საქართველოზე, ქართველ ხალხზე, ნაციონალური მოძრაობის რეანიმაციისთვის პასუხი უნდა აგონ. იმის მაგივრად, რომ ნაცმოძრაობა გასამართლებულიყო და პასუხი ეგოთ ტოტალიტარული მმართველობისთვის საქართველოში, ხალხს აქეთ უტევენ.

***– ისე, ცოტა დაუჯერებელია, რომელიმე ხელისუფლებას რევოლუციის გზით უნდოდეს წასვლა, მით უმეტეს, „ქართულ ოცნებას“.***

– სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილი საკითხია. როგორც „ქართული ოცნების“ მოსვლა გადაწყდა თავის დროზე, დაახლოებით ისეთივე სიტუაცია მზადდება. იმდენად დაბალია

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კანადური კომპანიის გაუგებარი პრეტენზიები ყაზახეთის მიმართ

კანადურმა სამთო კომპანიამ World Wide Minerals Ltd. („WWM“) განიზრახა სასამართლო დავა ყაზახეთთან, ადანაშაულებს რა მას ისტორიას ჩაბარებული სახელმწიფოს სსრკ-ის ვალდებულებების შეუსრულებლობაში.

1996-1997 წლებში კომპანიამ სახსრების ინვესტირება მოახდინა ყაზახეთში ურანის უმსხვილესი მარაგების დამუშავებაში, თუმცა საბოლოოდ ყველა მისი ოპერაცია შეჩერდა, კომპანია გაკოტრდა, მისი ყველა აქტივი და ქონება გაიყიდა. ამასთან, კომპანია ცდილობს, თავისი ფინანსური ვალაუვალობისათვის ბრალი მთლიანად დააკისროს ყაზახეთს. თავის მხრივ, ყაზახეთის მხარე მიუთითებდა, რომ კომპანია World Wide Minerals არღვევდა ეროვნულ კანონმდებლობას და არ ასრულებდა სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

კერძოდ, კომპანიამ „WWM“ იკისრა ჩრდილო ურანის მომპოვებელი კომპლექსისა და ყამირის სამთო-ქიმიური კომბინატის მართვა. 1997 წელს კანადურმა კომპანიამ მიმართა ყაზახეთის მთავრობას, რათა მიეღო ურანის აშშ-ში გაყიდვის ლიცენზია, პასუხად კი მან უარი მიიღო, რადგან ექსკლუზიურ უფლებას ფლობდა ამერიკული კომპანია Nukem inc.

თავის მხრივ, კომპანიამ „WWM“ წარმოება გააჩერა და თავისი ქმედებების მოტივად დაასახელა ურანის გასაღების შესაძლებლობების არარსებობა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარი, რა თქმა უნდა, შეზღუდული არ იყო შეერთებული შტატებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ყაზახეთმა მოშალა კონტრაქტი კანადურ კომპანიასთან მის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ყამირის სამთო-ქიმიური კომბინატის მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

საგულისხმოა, რომ ეს ისტორია უკვე მერამდენე წელია გრძელდება. კომპანიამ World Wide Minerals უკვე რამდენჯერმე შეიტანა სარჩელი ყაზახეთის მთავრობისა და „ყაზატომპრომის“ წინააღმდეგ საერთაშორისო არბიტრაჟში სტოკჰოლმში და ამერიკულ სასამართლოებში. თუმცა აქტივების დაბრუნებისა და კომპენსაციის მიღების ყველა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. თემიდა უცვლელად ყაზახეთის პოზიციას იზიარებდა.

კერძოდ, კოლუმბიის ოლქის (აშშ) სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საექსპორტო ლიცენზიის გაცემის ან არგაცემის გადაწყვეტილება „წარმოადგენს ყაზახეთის სუვერენულ ქმედებას, დაფუძნებულს რესპუბლიკის შიდა კანონებსა და ბრძანებულებებზე“.

აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი არსებითი დეტალი. საქმე ის არის, რომ კანადას არ გააჩნდა შეთანხმება ყაზახეთის რესპუბლიკასთან ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მაშინ როდესაც აშშ-ს ასეთი შეთანხმება ჰქონდა. შესაბამისი დოკუმენტი ძალაში შევიდა 1994 წელს. ამიტომ ამერიკული კომპანიის Nukem inc. წახალისება ყაზახეთის მხრიდან, რომელმაც მას ურანით ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება მიანიჭა, გამოიყურება სავსებით გასაგებად.

მაგრამ კომპანია World Wide Minerals ამან არ დააშოშმინა. და აი დაპირისპირების მორიგი რაუნდი. 2016 წლის 28 იანვარს კანადის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განიხილა და დააკმაყოფილა კანადის სამთო კომპანიის სარჩელი ყაზახეთის წინააღმდეგ ამასთან, პრეტენზიების თანხა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2001 წელს კომპანია World Wide Minerals ინვესტიციების დაკარგვას აფასებდა 25 მილიონ აშშ დოლარად, ხოლო ზარალს 1 მილიარდ აშშ დოლარად, დღეს სასარჩელო მოთხოვნის თანხამ გადააჭარბა 3 მილიარდ აშშ დოლარს.

მაინც რისი იმედი აქვს კომპანიას „WWM“? რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, კანადური მხარე მიუთითებს 1989 წლის ორმხრივ ხელშეკრულებაზე ინვესტიციების შესახებ კანადასა და სსრკ-ს შორის, რომელიც უზრუნველყოფს კანადური ინვესტიციების დაცვას. მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ პოზიციას მხარი დაუჭირა არა მარტო საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, არამედ კანადის მთავრობამაც, რომელმაც განაცხადა, რომ ყაზახეთი წარმოადგენს სსრკ-ის ყველა საინვესტიციო ვალდებულების უფლებამონაცვლეს.

კანადური კომპანიის ინტერესებს წარმოადგენს იურიდიული ფირმა Jones Day‘s Global Disputes. ასე რომ, მისმა უფროსმა იურისტმა ბაიჟუ ვასანიმ, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროცესზე, კანადურ პრესას განუცხადა, რომ „ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის სფეროში. პირველად სხვა რომელიღაც ქვეყანა, გარდა რუსეთისა, მიჩნეული იქნება სსრკ-ის მიერ დადებული საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების იურიდიულ მემკვიდრედ“.

სიტუაცია მართლაც რომ სულ უფრო ემსგავსება აბსურდის თეატრს. ყაზახეთს არ ესმის, რატომ უნდა პრევალირებდეს სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ რიჟკოვის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებზე? ვინ არის ეს რიჟკოვი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის? არსებითად – გარეშე ჩინოვნიკი.

ყაზახეთი ვერანაირად ვერ მიიჩნევა სსრკ-ის უფლებამემკვიდრედ იმიტომაც, რომ ეს როლი რუსეთმა იკისრა 1991 წლის 21 დეკემბერს, როდესაც რუსეთის ფედერაცია წამოყენებულ იქნა და დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერილი იქნა გამგრძელებელი სახელმწიფოს იდეა, რათა რუსეთმა „გააგრძელოს სსრკ-ის წევრობა გაეროში, მათ შორის უსაფრთხოების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი წევრობა“.

საერთაშორისო სამართლისა და საყოველთაო აღიარების თვალსაზრისით რუსეთის ფედერაცია რჩებოდა უწინდელ სახელმწიფოდ – ყოფილი სსრკ-ისა და მანამდე არსებული რსფსრ-ისა და რუსეთის იმპერიის უფლებებისა და ვალდებულებების გამგრძელებლად.

და საერთაშორისო თანამეგობრობამაც პრაქტიკულად სსრკ-ის დაშლისთანავე დაიკავა პოზიცია რუსეთის, როგორც სახელმწიფო-გამგრძელებლის, მიმართ, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ დაფარა პარიზის კლუბის ვალები, მასში შემავალი მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ამ ქვეყანას მიიჩნევს ყოფილი სსრკ-ის ვალებისა და აქტივების ერთადერთ კანონიერ სამართალმემკვიდრედ.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტები საერთაშორისო საკითხებში ამბობენ შემდეგს: „თუ ქვეყნის დაშლის შემდეგ იცვლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა საერთაშორისო-სამართლებრივი გაგებით, წყდება საერთაშორისო სამართალსუბიექტობა“. და ეს სრულად ვრცელდება ყაზახეთზე.

არის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. დავიწყოთ იმით, რომ კომპანია „WWM“ არ მუშაობდა სსრკ-ის პირობებში და უკვე ამ ერთი მიზეზით არ შეუძლია აპელირება ამ ხელშეკრულებასთან მიმართებით.

გეოპოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. ყოველი სახელმწიფო ატარებს საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომელსაც ადრე მოსკოვი კარნახობდა. შესაბამისად, კანადა, აღიარებს რა „WWM“-ის მოთხოვნებს, ამით ყაზახეთს მოუწოდებს, დაუბრუნდეს საბჭოთა წარსულს, რაც, დამეთანხმებით, შეუძლებელია.

ბუნებრივია, დღეს ყაზახეთიც არ აღიარებს ვალდებულებებს, რომლებიც თავის დროზე იკისრა საბჭოთა კავშირმა. სსრკ ხომ ხშირად მოქმედებდა ნაციონალური განაპირა მხარეების ინტერესების საწინააღმდეგოდ. უფრო მეტიც, იგი უხეშად თელავდა მათ. საკმარისია გავიხსენოთ ყაზახეთში სემიპალატინსკის საცდელი პოლიგონის ისტორია. სსრკ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს არავითარ შემთხვევაში არ სურდა უარის თქმა ბირთვულ ამბიციებზე, მაგრამ როდესაც რესპუბლიკებმა გამოაცხადეს სუვერენიტეტი, იგი შეეგუა სტრატეგიული ობიექტის დაკარგვას. სიტყვამ მოიტანა და დამოუკიდებელი ყაზახეთის პრეზიდენტის პირველი გადაწყვეტილება იყო ბრძანებულება პოლიგონის დახურვის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას, ვფიქრობ, არავინ უარყოფს. პოლიგონის, ისევე, როგორც თვით ბირთვული იარაღის, არსებობა ხომ ეწინააღმდეგებოდა ამ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. მაშ, რატომ უარყოფენ ყაზახეთის სუვერენიტეტს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებში იმ მოტივით, რომ სსრკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კვლავ უნდა პრევალირებდეს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის?

ყველაზე საინტერესოა ის, რომ ასტანის ამ უფლებას არავინ უარყოფს, გარდა ოტავისა. ყოველ შემთხვევაში, იმ ზემოხსენებული ქვეყნებიდან, რომლებმაც სსრკ-თან ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მხოლოდ კანადას არ დაუდია ხელახალი ხელშეკრულება ყაზახეთთან.

დანარჩენებმა საჭიროდ ჩათვალეს ურთიერთობების აგება ახალი ფურცლიდან, რადგან ესმოდათ საბჭოთა კავშირის სამართლებრივი ბაზის არალეგიტიმურობა. მაგალითისთვის, ახალი შეთანხმებები ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ ყაზახეთმა დადო და ძალაშია შესული ფინეთთან (2008 წ.), დიდ ბრიტანეთთან (1997 წ.), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან (1995 წ.), იტალიასთან (1996 წ.), ავსტრიასთან (2012 წ.), ესპანეთთან (1995 წ.), შვეიცარიასთან (1998 წ.), სამხრეთ კორეასთან (1996 წ.), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (1994 წ.), თურქეთთან (1995 წ.) და ა.შ.

ამ სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს ადეკვატური ორმხრივი სამართლებრივი ბაზა და, სხვათა შორის, ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ რესპუბლიკის საინვესტიციო კლიმატს. ერთ-ერთ თავის ახლანდელ ინტერვიუში (29.04.2016) ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ აღნიშნა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო ყაზახეთში.

– ბოლო მოხსენება „ბიზნესის წარმოების“ შესახებ, გამოქვეყნებული მსოფლიო ბანკის მიერ, გვიჩვენებს, რომ ყაზახეთი 12 პუნქტით აიწია – დაიკავა 41-ე ადგილი 2014-2015 წლებში. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა და, დარწმუნებული ვარ, ყაზახეთი შეინარჩუნებს ამ ტემპს, – ხაზი გაუსვა მან.

მაშ, რას აკეთებს კანადის მთავრობა, როდესაც მხარს უჭერს კომპანიის „WWM“ პრეტენზიებს ყაზახეთის მიმართ? პირველ რიგში, ამან შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ორი ქვეყნის ორმხრივი ურთიერთობები. მეორე მხრივ, ერთვება რა აშკარა წამგებიან საქმეში, კანადა უნებლიეთ ზიანს აყენებს საკუთარ თავს და თავის იმიჯს. მესამე მხრივ, განხილვის სტადიაზე ხდება ყაზახეთის რესპუბლიკის ავტორიტეტის შერყევა უცხოელი ინვესტორების გარემოში, რამაც შეიძლება შედეგად გამოიღოს შემხვედრი სარჩელი. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ პასუხს არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებებზე აგებს რიგითი კანადელი გადასახადის გადამხდელი, სასამართლო ხარჯები ასეთ საქმეებში ხომ, როგორც წესი, მნიშვნელოვან თანხებს აღწევს.

არის ასევე მეოთხე გარემოება. ვინ იცის, შესაძლებელია აქ ადგილი აქვს კორუფციულ მომენტს, ყაზახეთის წინააღმდეგ კომპანიის „WWM“ სარჩელების თანხები ხომ იზრდება გეომეტრიული პროგრესიით. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ. ასევე ძალზე რთულია იმ მოტივების გაგება, რომლებითაც ხელმძღვანელობს კანადის მთავრობა.

ზაზა მეზვრიშვილი

# ტერაქტები სირიაში

სირიაში მდგომარეობა კვლავაც დაძაბულია. ბრძოლებს ალეპოსთან ლატაკიის პროვინციაში განხორციელებული აფეთქებების სერიაც დაემატა. ეს ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

– ლატაკიას ბაშარ ასადის შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ. ამგვარი მასშტაბის ტერაქტები აქ იშვიათად ხდება, – იტყობინება ბიბისი.

პირველი აფეთქება ქალაქ ჯაბლასთან მოხდა. ადგილობრივ ავტოვაგზალში აფეთქდა ავტომობილი. ამას გარდა, რამდენიმე შაჰიდმა ავტოვაგზლის შიგნით შეაღწია და თავი აიფეთქა.

– ამ დროს ავტოვაგზალში ხალხმრავლობა იყო. მსხვერპლი დიდია.

მეორე აფეთქება საპორტო ქალაქ ტარტუსში განხორციელა. ის ლატაკიის პროვინციაში მდებარეობს. ჯაბლას მსგავსად, აქაც ტერაქტი ავტოვაგზალში განხორციელდა. ამ ტერაქტის ხელწერა ორი წვეთი წყალივით ჰგავს ჯაბრაში მომხდარ აქციას. აქაც აფეთქება ავტოვაგზლის მახლობლად განახორციელეს. აქაც აფეთქდა ავტომობილი, რომელიც ავტოვაგზლის მახლობლად იდგა. პარალელურად ორმა ტერორისტმა-შაჰიდმა შეაღწია ბრბოში და ტანზე დამაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აიფეთქა.

– ტარტუსში მომხდარი ტერაქტი ჯაბლაში განხორციელებული აფეთქებიდან ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ მოხდა. ფაქტობრივად, ორივე ტერაქტი ერთდროულად განხორციელდა, – იტყობინება ბიბისი.

აღსანიშნავია, რომ ტარტუსში ჯერ კიდევ



საბჭოთა ეპოქაში რუსული სამხედრო ბაზა განათავსეს. ის ავტოვაგზლიდან არცთუ შორს მდებარეობს. რაც შეეხება ჯაბლას, ამ ქალაქის სიახლოვეს რუსებმა გასულ წელს ავიაბაზა განათავსეს. ისიც ავტოვაგზალთან ახლოსაა.

– ორივე აფეთქება რუსული ბაზების სიახლოვეს განხორციელდა.

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რომ აქცია ერთი ორგანიზაციის მიერ იყო განხორციელებული. მალე ეს ოფიციალურად დადასტურდა. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ" აიღო. როგორც ჩანს, ისლამისტების მიზანი მოსახლეობაში პანიკის დათესვა იყო. ამას გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც. ტერაქტის შედეგად 120 ადამიანი დაიღუპა, 600 -ზე მეტი დაშავდა და ჰოსპიტალიზებულია.

– ტერაქტების სერია სირიაში ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში დღესაც უმძიმესი მდგომარეობაა, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავ ჯიუტად ებღაუჭება სირიის დიქტატორ ასადს და მისი ხელისუფლებაში დარჩენისათვის იბრძვის.

## ჯონ ქერი: „რუსეთმა ასადზე ზეწოლა უნდა გააძლიეროს"



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ რუსეთს ასადზე ზეწოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდა. ქერიმ განაცხადა, რომ ასადი აგრძელებს დარტყმებს ზომიერი ორიენტაციის სირიელ პარტიზანებზე, რითაც სამშვიდობო პროცესს საფრთხეს უქმნის.

– ასადი რუსეთის კლიენტია. შესაბამისად, მის ქმედებებზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება. მოსკოვი მოვალეა, ამ კაცზე ზეწოლა გააძლიეროს და აიძულოს, სამშვიდობო პროცესში ჩაერთოს, – თქვა ქერიმ.

## პუტინმა კანონს საპენსიო ასაკის გაზრდის შესახებ ხელი მოაწერა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს საპენსიო ასაკის გაზრდის შესახებ. თანახმად ამ კანონისა, მამაკაცები პენსიაზე 65 წლის შემდეგ გავლენ, ქალები – 63-ის.

– ეს კანონი მოქმედებაში თანდათან შევა და სრულად მხოლოდ 2017 წელს 1 იანვრიდან ამოქმედდება, – განაცხადა პუტინმა.

თავის ინტერვიუში პუტინმა აღიარა, რომ რუსეთს ეკონომიკურად ძალიან გაუჭირდა და ხსენებული ნაბიჯიც ამან განაპირობა.

– იმედია, ჩვენი მოსახლეობა გაგვიგებს, – თქვა პრეზიდენტმა.

## მწვანეთა ყოფილი ლიდერი ავსტრიის პრეზიდენტი გახდა



ავსტრიის პრეზიდენტის არჩევნებმა უჩვეულოდ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელ მომენტში გამოვლინდა. ეს პატივი მწვანეთა ყოფილ ლიდერ ვან დერ ბელენს ერგო. მისი კონკურენტი ჰოფერი, რომელიც ულტრარადიკალური და შოვინისტური პოზიციებიდან გამოდიოდა, დამარცხდა. ჰოფერმა თავისი საარჩევნო კამპანია პოპულისტურ დემაგოგიასა და მოსახლეობის ემიგრანტებისადმი სიძულვილზე ააგო. ის მიგრაციული კანონების გამკაცრებას მოითხოვდა, ამას გარდა, ამტკიცებდა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ევროპას, მათ შორის ავსტრიასაც, აზარალებს და ისინი უნდა გაუქმდეს.

– ჰოფერის დამარცხება ევროსკეპტიციზმის მარცხია, – აცხადებს ბიბისი.

## აშშ-ის სამხედრო ატაშე რუსეთის თავდაცვის სამინისტროში დაიბარეს

აშშ-ის სამხედრო ატაშე რუსეთში თავდაცვის სამინისტროში დაიბარეს. რუსულმა მხარემ მას ოფიციალურად განუცხადა პროტესტი ამერიკული თვითმფრინავის მიერ რუსეთის სამხედრო საზღვრების დარღვევის გამო.

– ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი აწარმოებდა სადაზვერვო ფრენას ჩვენს საზღვართან. მისი ქმედება ქმნიდა რუსეთის თვითმფრინავებთან შეჯახების საფრთხეს, – თვლიან რუსი სამხედროები.

ბიბისის აზრით, რუსების ქმედება ძალზე მოგვაგონებს საბჭოთა ლიდერების რეაქციას ცივი ომის ეპოქაში.

– რუსეთ-დასავლეთს შორის ურთიერთობები იძაბება.

## რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში უჩივიან



ამერიკელმა ადვოკატმა ჯეფრი სკინერმა რუსეთს ევროსასამართლოში უჩივლა. სკინერი თვლის, რომ ჰოლანდიური ბოინგის ჩამოგდებაში, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, დამნაშავე რუსეთია. ამიტომ ამ ქვეყნის პრეზიდენტმა პუტინმა დაღუპულთა ოჯახებს 300.000 დოლარის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

– მე ყველაფერს ვიღონებ, რათა სასამართლომ პუტინს კომპენსაციის გადახდა დააკისროს, – განაცხადა სკინერმა.

თავის მხრივ, რუსეთის დუმამ მიიღო კანონი, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი მოვალე არ არის, ევროსასამართლოს დადგენილებები შეასრულოს. სკინერმა ამაზე შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რუსეთი დამნაშავეა. მოსკოვში ხვდებიან, რომ პროცესს წააგებენ და უკან დასახევ გზებს ეძებენ.

## სტამბოლში მსოფლიო ჰუმანიტარული სამიტი ჩატარდა

სტამბოლში მსოფლიო ჰუმანიტარული სამიტი ჩატარდა. მას უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც დაესწრო. პოროშენკოს ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისის წარმომადგენელი მუსტაფა ჯემილიოვიც ახლდა.

პოროშენკომ დაწვრილებით ისაუბრა დონბასში შექმნილ მდგომარეობაზე და საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთზე ზეწოლისაკენ მოუწოდა.

პოროშენკომ განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლმა 10.000-ს მიაღწია, ლტოლვილთა რაოდენობამ კი 2 მილიონს გადააჭარბა. მდგომარეობა მძიმეა, რადგანაც რუსეთი თავის აგრესიულ მოქმედებებს არ წყვეტს.

უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აუცილებელია შეიქმნას საერთაშორისო ფონდი, რაც დონბასში მშვიდობის დამყარების ერთადერთი საიმედო გარანტია.

მუსტაფა ჯემილიოვმა ყირიმში რუსული საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ყირიმელ თათართა დევნა-შევიწროებაზე ისაუბრა.

## კიშინიოვი: გეიაღლუმი ჩაიშალა



მოლდავეთის დედაქალაქში გეიაღლუმი ჩაიშალა. სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა სცადეს ცენტრალურ ქუჩაზე მსვლელობა მოეწყოთ, მაგრამ ადგილობრივმა მართლმადიდებელმა აქტივისტებმა მათ გზა გადაუღობეს. გაისმა ყვირილი:

– დასცხე ცისფერებს!

პოლიცია მართლმადიდებელ აქტივისტებსა და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს შუა ჩადგა, რითაც ეს უკანასკნელნი ჩაქოლვისგან იხსნა.

გეიაღლუმის მონაწილეებმა თავს გაქცევით უშველეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

(c) moldovacrestina.net


## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ბაადურ ჯობავა ევროპაში მესამეა



კოსოვოს ქალაქ გიაკოვაში დასრულდა მოჭადრაკეთა ევროპის მე-17 ინდივიდუალური ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრების ლიდერმა ბაადურ ჯობავამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 11 ტურად გამართული ტურნირის დასკვნით საშეჯიბრო დღეს, ჯობავამ თეთრი ფიგურებით მე-2 განთესვის მქონე პოლონელი რადოსლავ ვოიტაშეკი დაამარცხა და 8 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. ევროპის ჩემპიონი რუსი ერნესტო ინარკიევი (2686) გახდა 9.0 ქულით, ხოლო ვერცხლის მედალი ლატვიელ იგორ კოვალენკოს (2644) ერგო 8.5 ქულით.

ევროპის პირველობაზე კიდევ 4 ქართველი მოჭადრაკე თამაშობდა, რომელთაგან სამმა 6.5 ქულა მოაგროვა. დამატებითი მაჩვენებლებით, მერაბ გაგუნაშვილი (2569) 52-ე ადგილზე გავიდა, ლევან ფანცულაია (2613) – 53-ე იყო, თორნიკე სანიკიძე (2537) – 65-ე. რაც შეეხება ზურაბ სტურუას (2548), მან 6.0 ქულით 87-ე პოზიცია დაიკავა.

# ბასილაშვილი როლან გაროსზე დამარცხდა




საქართველოს ნაკრების ლიდერი და პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი საფრანგეთის ღია პირველობის პირველ წრეში დამარცხდა ბრიტანელ კაილ ედმუნდთან 6:7, 7:6, 5:7, 1:6 და გათამაშებას გამოეთიშა. ედმუნდი მსოფლიო რეიტინგში 82-ე პოზიციაზეა და ამ დაპირისპირების ფავორიტადაც მიიჩნეოდა.

პირველი სეტი ჩვენებურმა ტაი ბრეიკში დათმო, თუმცა მეორეში კიდევ ერთი ტაი ბრეიკი ამჯერად ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა.

გადამწყვეტ მესამე სეტში ბასილაშვილი ერთი პერიოდი, 5:3 დაწინაურდა, მაგრამ ეს უპირატესობა გაანიავა, ზედიზედ 4 გეიმი და მასთან ერთად სეტიც დათმო. როგორც ჩანს, ამ სეტმა ფსიქოლოგიურად გატეხა ბასილაშვილი და ბოლო სეტი პრაქტიკულად უბრძოლველად დათმო.

ბასილაშვილმა „როლან გაროსზე" 3 საკვალიფიკაციო შეხვედრა მოიგო, მაგრამ ედმუნდის ბარიერი ვერ გადალახა. არადა, ჩვენებური ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძვის.

# იუვენტუსი და ნაპოლი სატრანსფერო ბაზარზე იკვეთებიან

მომავალ სატრანსფერო ბაზარზე ერთმანეთს იტალიის 2 საუკეთესო გუნდი, ტურინის იუვენტუსი და ნაპოლი დაუპირისპირდება.

როგორც ჩანს, ამ კლუბების მიზნები არაერთ ფეხბურთელზე იკვეთება. კერძოდ, ტურინელებს მსგავსად ნეაპოლიტანელების სასუოლოს ფეხბურთელის სიმე ვრსალკოს შეძენა სურთ. სასუოლო კი სიტუაციის გამოყენებას და ხორვატის მინიმუმ 20 მილიონად გასხვისებას ცდილობს.

მორიგი ფეხბურთელი სერია ბ-ს საუკეთესო ბომბარდირი ჯანლუკა ლაპადულაა, რომელიც თითქოს შეთანხმებული იყო იუვესთან, მაგრამ ნაპოლის პრეზიდენტი დე ლაურენტისი საქმეში ჩაერთო და ახლა უკვე პესკარა აუქციონის პრინციპით აპირებს მოქმედებას.

ორივე კლუბს აქტიურად უკავშირებენ ევერტონის შემტევებს – კრისტიან ბენტეკესა და რომელუ ლუკაკუს. სხვათა შორის, ევერტონელზე უნდა ითქვას, რომ არც ისინი არიან წინააღმდეგნი კარიერის აპენინებზე გაგრძელებაში.

ნაპოლის რა მოგახსენოთ და იუვენტუსს სერიოზული შემადგენლობის შეკრება სურს. ამის დასტურია ისიც, რომ კლუბმა ჯერ პოლ პოგბა არ გაუშვა გუნდიდან სოლიდურ ფასად, ახლა კი 22 წლის თავდამსხმელის, პაულო დიბალას ბარსელონაში 90 მილიონ ევროდ გაშვებაზე თქვა უარი.

ბარსელონა რომ დიბალას შეძენითაა დაინტერესებული, ეს სიახლე არაა. გავრცელებული ინფორმაციით, კატალონიელებმა ტურინელებს 90 მილიონი ევრო პლუს ბონუსები შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს.

ვრცელდება ცნობები, რომ ტურინში დარჩენის სურვილს თავად ფეხბურთელიც გამოთქვამს იმის მიუხედავად, რომ მისი კუმირი ლიონელ მესი ბარსელონაში თამაშობს.

## 23 მაისი

### ფეხბურთი

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ნიურბერგი-აინტრახტი | 0:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-პაოკი | 0:2 |
| პანათინაიკოსი-აეკი | 3:0 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-ვიბორგი | 0:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გეფლე-აიკი | 0:1 |
| გიოტებორგი-ჰამარბი | 2:1 |
| მალმიო-ფალკენბერგი | 2:0 |

### ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| რაონიჩი-ტიპსარევიჩი | 6:3, 6:2,7:6 |
| მანარინო-კუკუშკინი | 6:4,2:6,6:2,6:4 |
| მარტინი-მუნიოსი | 6:2,6:3,4:6,6:4 |
| სოკი-ჰაასე | 6:3,7:5,3:6,6:7,6:2 |
| ბრაუნი-სელა | 6:7,6:4,7:6,4:6,6:4 |
| რამოსი-სებალიოსი | 6:3,4:6,7:5,6:0 |
| ტრუნგილეტი-ჩილიჩი | 7:6,3:6,6:4,6:2 |
| სიმონი-და სილვა | 7:6,6:4,6:2 |
| პეია-შვარცმანი | 6:2,3:6,6:2,6:3 |
| ლაიოვიჩი-კუდლა | 6:3,6:3,6:3 |
| ტროიცკი-დიმიტროვი | 2:6,6:3,5:7,7:5,6:3 |
| შარდი-ლ.მაიერი | 6:4,3:6,6:4,6:2 |
| პავლაშეკი-კაბრალიესი | 6:2,4:6,6:3, 1:6,6:1 |
| დანიელი-კლიჟანი | 3:6,4:6,7:5,6:4,6:0 |
| ვავრინკა-როსოლი | 4:6,6:1,3:6,6:3,6:4 |
| ნიშიკორი-ბოლელი | 6:1,7:5,6:3 |

# შედეგები

| | |
|---|---|
| დოდიგი-იუჟნი | 6:4,5:7,7:6,2:6,6:3 |
| ვერდასკო-ჯონსონი | 7:5,6:4,7:5 |
| ფრატანჯელო-კუერი | 6:3,6:1,6:7,6:3 |
| გასკებელუჩი | 6:1,6:3,6:4 |
| ედმუნდი-ბასილაშვილი | 7:6,6:7,7:5,6:1 |
| კარლოვიჩი-მონტანიესი | 6:2,7:6,7:6 |
| ტომპსონი-ჯერე | 6:3,6:4,7:5 |
| ბურგი-სამპერი | 7:5,7:6,7:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბონდარენკო-ვინჩი | 6:1,6:3 |
| ბეკი-ზანევსკა | 6:1,6:2 |
| ვანდევეგე-ბროუდი | 6:4,3:6,6:3 |
| ბეგუ-მატეკი | 5:7,6:1,6:3 |
| როჯერსი-პლიშკოვა | 3:6,6:4,6:3 |
| ვესნინა-ბრენგლი | 6:2,6:3 |
| კუზნეცოვა-შვედოვა | 4:6,6:1,6:4 |
| უოტსონი-გიბსი | 5:7,6:2,6:2 |
| ბუიუქაქჩაი-სასნოვიჩი | 5:7,7:6,6:2 |
| ვიკმაიერი-დულგერუ | 6:1,6:3 |
| ჟორჟი-მაკჰეილი | 6:7,6:0,6:3 |
| მუგურუსა-შმიედლოვა | 3:6,6:3,6:3 |
| ჰალეპი-ჰიბინო | 6:2,6:0 |
| დიასი-ვიტჰოფტი | 2:6,6:4,6:2 |
| ლუჩიჩი-ჰანტუხოვა | 6:1,6:2 |
| ოსაკა-ოსტაპენკო | 6:4,7:5 |
| პირონკოვა-ერანი | 6:3,6:2 |
| ლარსონი-ლინეტი | 6:3,4:6,7:5 |
| როიგი-ლისიცკი | 6:2,6:2 |
| სტივენსი-გასპარიანი | 6:4,6:3 |
| სტრიკოვა-ჰრადეცკა | 6:4,7:5 |
| ჰერცოგი-დომინგეს ლინო | 6:4,7:6 |
| გარსია-ცურენკო | 6:3,7:5 |
| ა.რადვანსკა-იოვანოვსკი | 6:0,6:2 |

# გოჩა სვანიძე: საზოგადოების პრობლემა ცუდი ფაქტების დამალვაა




რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე ქომაგებს შეხვდა. ეს ტრადიცია ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ დაამკვიდრა, რომელიც სისტემატურად ხვდებოდა, სვანიძის არჩევის შემდეგ კი პირველი შემთხვევაა. როგორც თავად კავშირის პრეზიდენტმა ახსნა, ეს იმიტომ დაგვიანდა, რომ სასაუბრო დაგროვებულიყო და ბოდიშიც მოუხადა ქომაგებს.

შეხვედრა 3 საათს გაგრძელდა... პრეზიდენტმა თითქმის ყველა საკითხზე ამომწურავად ისაუბრა.

გოჩა სვანიძემ საუბარი დიდი 10-ის ირგვლივ დაიწყო, სადაც საინტერესო იყო ბოლო ტურებში დაფიქსირებული სენსაციური შედეგები, რომელიც საეჭვოდ ჩანდა:

– დიდი 10-ის ფინალურ მატჩზე სტადიონის გავსება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ კარგი სანახაობა შედგა. საორგანიზაციო თვალსაზრისითაც, ყველაფერი არ გამოგვივიდა, მაგრამ ამას სამომავლოდ შევძლებთ...

ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ზედიზედ რამდენიმე თამაში მოიგო და ერთში მოგება ჩაითვალა. მათ ეფექტურად გამოიყენეს ეგრეთწოდებული ცრუ შერკინების წესი. ამ გუნდს არ ყავდა შერკინების პირველი ხაზი და ბევრი სპეციალისტის აზრით, ხელოვნურად იწვევდა ცრუ შერკინებას. ვინაიდან რეგულაციებში ეს თამაშის წესებს პირდაპირ არ ეწინააღმდეგება, ამას ვერანაირი სანქცია ვერ მოყვებოდა, თუმცა უკვე დავიწყეთ ფიქრი იმ მიმართულებით, რომ გუნდებმა თამაში უნდა მოიგონ ყველა სარაგბო კომპონენტის გამოყენებით და არა ამგვარი ხელოვნური მეთოდებით. შევეცდებით ნორმატიული ცვლილებებით ასეთი ქმედებების შესაძლებლობა არავის დავუტოვოთ.

ასევე საინტერესო იყო საუბარი ფოთში მომხდარ ინციდენტზე, სადაც მატჩის დასრულების შემდეგ დაჭრეს მსაჯი.

– განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო ფოთში მომხდარ ინციდენტზე. როგორც კი ეს ამბავი გავიგე, იმავე წამს ყველას დავურეკე და ყველას მოვუწოდე, რომ მაქსიმალურად ეთანამშრომლათ სამართალდამცავ ორგანოებთან. თუმცა, მოხდა ისე, რომ ამბავს არ მიეცა მსვლელობა. ადგილზე იყვნენ კერძო დაცვის წარმომადგენლებიც, ისინი ყველა თამაშს ესწრებიან და ჩვენ ამაში ფულს ვიხდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათაც არაფერი დაუნახავთ. აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი ვერავინ დააფიქსირა. ესაა მთელი ჩვენი საზოგადოების უდიდესი პრობლემა. გავიგე, რომ პოლიციელებმა ინციდენტის მონაწილეები გამოკითხეს, მაგრამ ამდენი თვითმხილველის ფონზე, არავინ არაფერი „იცოდა".

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენ მიერ გაცემულ სასჯელებს: კიზირიას შემთხვევაში, განიხილებოდა მისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციის მიცემის საკითხი, მაგრამ ყოფილა პრაქტიკა, როდესაც ხანგრძლივი ვადით გაცემული დისკვალიფიკაცია, რაღაც პერიოდის შემდეგ გაუქმებულა. აქ ჩვენ გამოვიყენეთ 5-წლიანი დისკვალიფიკაცია, ოღონდ მისი შემცირების შესაძლებლობის გარეშე.

რაგბის კავშირში არსებული ჩანაწერიდან ირკვევა, რომ მწვრთნელი ახდენდა კონფლიქტის პროვოცირებას და ამის გამო მისი სასჯელი დავამძიმეთ. ნიკო ჭავჭავაძეს მომავალ სეზონში მთელი პირველი წრე უცდება და 2-წელი ვერ იმუშავებს მთავარი მწვრთნელის რანგში.

მორაგბეებიდან განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო გიორგი აფციაურზე. მისი მხრიდან იყო მსაჯის გადაწყვეტილებაზე აპელირება სამარცხვინო ფორმით. ნაკრების მოთამაშისგან ასეთი პანიკური საქციელი მიუღებელია და ვფიქრობ, საკმარისად მკაცრად დაისაჯა. მისთვის 3-კვირიანი სასჯელი ძალაში შედის დიდი 10-ის მომდევნო სეზონის დაწყებიდან და მანამდე ის ვერ თამაშობს ვერსად, მათ შორის ნაკრებში. ანუ, უცდება ივნისის ტესტები და ნოემბერს ხვდება დიდი ხნის უთამაშებელი, რაც უკვე მისთვის სერიოზული სასჯელია.

შეხვედრისას გოჩა სვანიძემ ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2017 წლიდან ქართული კლუბები ჩელენჯ ქაფის შესარჩევში ჩაერთვებიან.

– 2017-18 წლის სეზონიდან ქართული კლუბები აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას ევროთასებში. დაახლოებით 2 თვის ვადაში, გამოქვეყნდება ქართული რაგბის განვითარების გეგმა, რომელსაც გულშემატკივრებთან ერთად განვიხილავთ. ყველა დეტალი იქნება ხელმისაწვდომი და განსჯის საგანი. მნიშვნელოვანია, რომ კლუბები მარტო სახელმწიფოზე არ იყვნენ ჩამოკიდებულნი. რაც კლუბის ცხოვრებისთვისაა საჭირო, იმას სახელმწიფო 100%-ით ვერასდროს გააკეთებს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ განვითარების იმ საფეხურზე, სადაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, სახელმწიფოს დახმარება საერთო საჭიროების მინიმუმ 70%-ს მაინც უნდა ფარავდეს. ზოგადად, პროფესიული კლუბი არ უნდა ფინანსდებოდეს მხოლოდ სახელმწიფოს ფულით. რაგბის კავშირის ფუნქციაა, რომ მოიზიდოს მეტი მაყურებელი, მეტი ინვესტორი, რომელიც რაგბიში ფულს ჩადებს, მაგრამ ამისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში იყოს ნორმალური ბიზნეს გარემო და პოლიტიკური სტაბილურობა. ჩვენ იძულებით წავედით იმ მახინჯ ფორმაზე, რასაც კლუბების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება ჰქვია, რადგან სხვაგვარად რაგბი საერთოდ ვერ განვითარდებოდა.

როგორც უკვე ცნობილია, ივნისში საქართველოს ნაკრები, პირველად არსებობის ისტორიაში, ტესტ-მატჩების გასამართად წყნარი ოკეანის კუნძულებზე გაემგზავრება და იქ სამოას, ტონგასა და ფიჯის შეხვდება. უკვე ცნობილია, რომ გუნდს დააკლდება ის ლეგიონერები, რომელთა გუნდები ტოპ 14-ის პლეიოფებში გავლენ. შემადგენლობაზე საუბრის პრეროგატივა სვანიძემ მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგს დაუთმო, გულშემატკივრებს კი გაუმხილა, რომ ივნისის ტესტებზე ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბში სავარაუდოდ ორი სამხრეთელი სპეციალისტი გამოჩნდება.

– მილტონ ჰეიგი საქართველოში როდესაც დაბრუნდება, შემადგენლობაზე ის ისაუბრებს. უკვე შერჩეული ჰყავს გაფართოებული შემადგენლობა, მაგრამ შესაძლოა ცვლილებები მოხდეს და მე ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. ჰეიგი სამხრეთში 2 სპეციალისტთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ესენი უკანა ხაზის და უნარების მწვრთნელები არიან და ამ მიმართულებით ნაკრებს გაძლიერება აუცილებლად სჭირდებოდა. თუმცა, მწვრთნელების საკითხი გადაწყვეტილი არაა. ჰეიგი თბილისში რომ ჩამოვა, ამ საკითხზე ვისაუბრებთ, კუნძულებზე ისინი დროებითი მწვრთნელების სტატუსით იმუშავებენ, ვნახავთ მათ ხარისხს და ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას...

პრობლემაა ფრანგული კლუბებიდან მოთამაშეების გამოძახება, რადგან მათ ნაწილს ივნისში პლეი ოფები უწევთ. კლუბებს მოთამაშეების არგამოშვების ოფიციალური უფლება არ აქვთ, მაგრამ მერე მოთამაშეებს პრობლემა ექმნებათ და სწორედ მოთამაშეთა გამო, რიგ შემთხვევებში კლუბებთან დათმობაზე მივდივართ. ხისტ პოლიტიკას ვერიდებით, თორემ გვაქვს უფლება ნებისმიერ მოთამაშეს ვუხმოთ და უარის შემთხვევაში, დისკვალიფიკაცია მივცეთ. მოკლედ, იმ ბიჭებს, რომელთა გუნდებიც ტოპ 14-ის პლეი ოფებში გავლენ, ამ ეტაპზე ნაკრებში არ გამოვიძახებთ, დანარჩენები კი, ნაწილი თბილისში და ნაწილი პირდაპირ კუნძულებზე, გუნდს შეუერთდებიან...

სვანიძის თქმით, ამიერიდან, ყველა ასაკობრივი თუ ეროვნული ნაკრების კანდიდატი, საქართველოს რაგბის კავშირთან კონტრაქტით იქნება დაკავშირებული და ეს პრობლემებს დიდწილად მოაგვარებს. მსგავსი პრაქტიკა დანერგილია პირველი დონის ყველა ნაკრებში და ახლა მათ რიცხვს ამ მიმართულებით საქართველოც შეუერთდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი ახალგაზრდულ ნაკრებებში. ცვლილებების მიზანია, რომ ჭაბუკებში ნაკრებ გუნდში ვერ მოხვედრამ იმედგაცრუება არ გამოიწვიოს და კანდიდატთა სია გაფართოვდეს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან 15-20 წლები ისეთი ასაკია, როდესაც მოთამაშე ნებისმიერ დროს შეიძლება გაიხსნას და ის ყურადღების მიღმა არ დარჩეს.

შეხვედრაზე გაირკვა ერთი სასიამოვნო ამბავიც: საზოგადოებრივი არხი 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან და ბორჯღალოსნების კუნძულებზე ტურნედან რეპორტაჟებს გეგმავს.

# საფეხბურთო მატჩებით საფრანგეთშიც მანიპულირებენ



საფეხბურთო მატჩებით მანიპულირება მარტო საქართველოში არ ხდება. ალბათ იფიქრებთ, რომ მსგავსი ფაქტები ისეც დაბალი დონის საფეხბურთო ქვეყნებშიც მრავლად იქნება. კი ბატონო, მაგრამ ისეთ ქვეყანაშიც, როგორიც საფრანგეთია, ახალი სკანდალი მწიფდება – 1 (უმაღლესი) და მე-2 ლიგის ფეხბურთელებს ბრალი ედებათ თავიანთი გუნდების მატჩებზე ტოტალიზატორში თამაში, რაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიონალური საფეხბურთო ლიგის რეგლამენტით აკრძალულია.

ფრანგული მედიის ცნობით, ეჭვმიტანილია საფრანგეთის საუკეთესო 2 დივიზიონის გუნდების 30 ფეხბურთელი, რომელთა შორის რამდენიმე ცნობილი მოთამაშეა პსჟ-დან, ლიონიდან და მონაკოდან. ერთია, ეჭვმიტანილთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

გეტყვით იმასაც, რომ ეს, საფრანგეთში ახალი სკანდალი არ არის – ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უკვე მეოთხე შემთხვევაა, რის გამოც პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა სასჯელის გამკაცრებას გეგმავს. აქედან გამომდინარე, ფეხბურთელებს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელით.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# მანჩესტერს მოურინიო გაწვრთნის



ლუი ვან გაალმა მანჩესტერი ბოლოს კრისტალ პალასთან თასის ფინალში გაწვრთნა. ჰოლანდიელ სპეციალისტს ტიტულმა ვერ უშველა და გუნდიდან დაითხოვეს. წასვლის წინ ვან გაალმა სამადლობელი წერილი დაუტოვა კლუბსა და გულშემატკივრებს.

ბრიტანული მედია კი აქტიურად წერს, რომ მანჩესტერ იუნაიტედს ჟოზე მოურინიო ჩაიბარებსო — თან გადაწყვეტილად.

იმასაც ამბობენ, რომ მოურინიო აქამდეც იქნებოდა მანჩესტერის მთავარი მწვრთნელი, რომ არა სერ ალექს ფერგიუსონი. ლეგენდარულ შოტლანდიელს კლუბში ჯერაც ბევრი რამ ეკითხება და სერ ალექსს გულზე არ ეხატება მოურინიოს სათამაშო სტილი.

გამოასწორებს თუ არა მოურინიო დაცვით სტილს და გაცვლის თუ არა შემტევზე, ეს მომავალ სეზონში გამოჩნდება, მაგრამ პორტუგალიელს საამისოდ ბაზა უნდა დახვდეს. ცხადია, ჟოზე გუნდში „თავის" ფეხბურთელებსაც მიიყვანს, მაგრამ რამდენიმეს შეძენა მანჩესტერს მის გარეშეც გადაწყვეტილი აქვს.

ინგლისურმა მედიამ გამოაქვეყნა მასალა, სადაც წერია, რომ მოურინიო მანჩესტერში 5 ფეხბურთელს მოიყვანს და ამდენივეს გაუშვებს.

შავ სიაში მოხვდნენ ხუან მატა, მარკოს როხო, ადნან იანუზაი, მორგან შნეიდერლინი და მემფის დეპაი. მომსვლელებად სახელდებიან — რაფაელ ვარანი (რეალი), ჯონ სტოუნსი (ევერტონი), ვილიამ კარვალიო (სპორტინგი), გონსალო იგუაინი (ნაპოლი) და ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ).

ბოლო ინფორმაციებით, ზლატანის მანჩესტერში გადასვლის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# მამუკა ტუკვაძე: „ხობში არჩევნები კომუნისტურად ჩატარდა"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ნაცმოძრაობის რეიტინგი, რომ პროვოკაციები სჭირდება. ამ ფაქტით სწორედ „ქართულმა ოცნებამ" შეუწყო ხელი. ახლა საჭირო იყო, მცირედით მაინც აწეულიყო მათი რეიტინგი, რომ ოქტომბრის არჩევნებში მეტის პრეტენზია ჰქონდეს. ამაზე მუშაობს დასავლეთი. როგორც არსებობს ორი რუსეთი, ასევე არსებობს ორი დასავლეთი, სადაც დესტრუქციული ძალები (აშშ-ში, სხვაგან) ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში შემოიტანონ ბუნტი, არეულობა, სისხლისღვრა და ყველა უბედურება. სწორედ ეს დესტრუქციული ძალები არიან, რომლებიც მათ მართავენ. სადღაც ვაშინგტონში ან ბრიუსელში უბრძანა, რომ ასე მომხდარიყო. მე საქართველოს ხელისუფლებასა და ნაცმოძრაობას განვიხილავ კოაბიტირებულ, დაქორწინებულ ერთ ძალად. ეს არის ერთი ძალა, ოღონდ ორი განშტოებაა, რომელიც ხალხის ფულზე, ხალხის ნერვებზე, ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე არიან გაბატონებული. დადგება დრო, როცა ხალხი ღირსეულ არჩევანს გააკეთებს. ისინი კი რევოლუციისთვის ემზადებიან.

***— ნაციონალები ემზადებიან რევოლუციისთვის?***

— დიახ, ნაციონალები ემზადებიან, „ქართულ ოცნება" კი ხელს უწყობს. „ოცნებამ" კარგად იცის, რომ რევოლუციისთვის ემზადებიან. სწორედ ამიტომ არ უნდა მისულიყო იქ.

***— რას მიაწერთ იმას, რომ ორ უბანზე ნაცმოძრაობამ გაიმარჯვა?***

— ერთ უბანზე 10 ხმით გაიმარჯვა. „დაჩაგრული ადამიანის" მხარდამჭერები იყვნენ ისინი, ვინც მივიდნენ 3 საათის შემდეგ. შეგვიძლია დავითვალოთ, რამდენი ამომრჩეველი მივიდა 3 საათამდე და რამდენი მივიდა 3 საათის შემდეგ ზუგდიდის საარჩევნო ოლქში, კორცხელის უბანზე. ქართველი კეთილშობილი ადამიანის ფსიქოლოგია ის არის, რომ დაჩაგრულს მხარი დაუჭიროს. 3 საათის შემდეგ საარჩევნო უბანზე მივიდნენ ადამიანები, რომლებიც სულაც არ არიან ნაცმოძრაობის მხარდამჭერები. მხოლოდ იმიტომ მივიდნენ, რომ კრიმინალები არ უნდათ სათავეში. ამან განაპირობა არჩევნების მოგება ზუგდიდში ნაცმოძრაობის მიერ.

***— ოზურგეთშიც ხომ არ მომხდარა დაპირისპირება, იქ რატომ წააგო „ოცნებამ"?***

— ოზურგეთის შემთხვევა ცოტა სპეციფიკური შემთხვევაა. არჩევნები ტარდებოდა მუსლიმანურ საარჩევნო ოლქში. „ქართულმა ოცნებამ" კი მართლმადიდებელი კანდიდატი დააყენა, თან ქალბატონი, ამიტომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიგებდა.

***— ე.ი. ვერ განსაზღვრეს, რომ მუსლიმანურ სოფელში ქრისტიან ქალს ხმას არ მისცემდნენ.***

— როგორ გეკადრებათ, როგორ ვერ განსაზღვრეს, რომ არ შეიძლებოდა ქრისტიანი ქალბატონის კანდიდატად წარდგენა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანი იყო. ორივე შემთხვევაში ნაციონალებმა ამიტომ გაიმარჯვეს. ეს სპეციალურად მოაწყვეს. სპეციალურად დააყენეს ასეთი სუსტი კანდიდატი და აქეთ სპეციალურად მოხდა დაპირისპირება. შედეგი დადგა ის, რასაც ელოდებოდნენ ვაშინგტონსა და ბრიუსელში დესტრუქციული ძალები.

***— ზოგან ამომრჩევლების 50% მივიდა არჩევნებზე, ზოგან, 60 და 67%. როცა სხვა ძალებიც ჩაერთვებიან საარჩევნო მარათონში, ოქტომბერში ნაციონალებს რა შანსი რჩებათ?***

— ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალებს ძალიან მცირე შანსი აქვთ. დაპირისპირებაც სწორედ ამიტომ მოხდა.

# რეალს კროოსსა და მორატას „ართმევენ"



გავრცელებული ინფორმაციით, მადრიდის რეალმა შესაძლოა, ხმაურიანი გაცვლა შემოგვთავაზოს.

პსჟ ტონი კროოსის გადაბირებით სერიოზულად ინტერესდება და გერმანელი ფეხბურთელის სანაცვლოდ საკმაოდ ბევრ დათმობაზე მიდის.

ბოლო ცნობებით, რეალმა პარიზელებს მოლაპარაკებების დაწყებაზე უარი არ უთხრა, მაგრამ პერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა კროოსს, თუ სასარგებლო წინადადებას მიიღებს.

პსჟ მზად არის, ანხელ დი მარიას დათმობაზეც დაფიქრდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პარიზელები დამატებით ითხოვენ ფინანსებს — ბლანკოსს გერმანიის ნაკრების შუახაზელთან ერთად 30 მილიონი ევროს გამეტებაც მოუწევს.

ალვარო მორატამ, რომელიც რეალიდან ტურინის იუვენტუსში იყო განათხოვრებული, იტალიური კლუბის შემადგენლობაში ბოლო მატჩი ქვეყნის თასზე ჩაატარა მილანთან და დამატებით დროში გამარჯვების გოლიც გაიტანა.

მორატას მიმართ ლონდონის არსენალის დაინტერესება ძალიან დიდია — „მეთოფეთა" მთავარი მწვრთნელი, არსენ ვენგერი მიიჩნევს, რომ მორატა მომავლის ფეხბურთელია, ამიტომ მასში 60 მილიონი ევროს გადახდას, ხელფასის სახით კი კვირაში 200.000 ევროს დანიშვნას გეგმავს.

ფრანგ სპეციალისტს ახალგაზრდებთან მუშაობის სპეციფიკა ნამდვილად არ დაეწუნება. ჯერჯერობით უცნობია ბლანკოსის პოზიცია.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# მინის თეატრი დახმარებას ითხოვს

— ნუ გაგვატეხინებთ პირს უცხოელ კოლეგებთან. ნუ დაგვაკარგვინებთ შანსს, წარვდგეთ საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე, — ამ განცხადებას მინის თეატრის ხელმძღვანელი რეზო შატაკიშვილი ავრცელებს და დახმარებას ითხოვს:

— მეგობრებს ვთხოვ, გაიზიარონ ჩვენი პრობლემა. მოგმართავთ თხოვნით. არ მოგმართავდით, სხვა გზა რომ დაგვრჩენოდა.

მინის თეატრი, ჩემი ახალი მონოსპექტაკლით „მესაფლავე" 13-დან 24 ივნისამდე მიწვეულია უკრაინაში, მონოსპექტაკლების საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. 28-29 ივნისს გასტროლი გვაქვს კიშინოვში მოლდოვას ნაციონალურ თეატრში.

მინის თეატრი
The Glass Theatre

ფესტივალის ადმინისტრაცია ფარავს ადგილზე ცხოვრების ხარჯებს. არ ფარავს სატრანსპორტო ხარჯებს, გამგზავრება თბილისიდან კიევში და დაბრუნება კიევიდან. საგასტროლო ანაზღაურება ვერანაირად ვერ აანაზღაურებს ვერც მგზავრობის ხარჯს, კიევიდან კიშინოვში და უკან, და ვერც ადგილზე, კიშინოვში ცხოვრების ხარჯებს.

როდესაც ამ ყოველივეს ვგეგმავდით, იმედი გვქონდა კერძო კომპანიების თანადგომის, პარტნიორობის. გვქონდა ინოვაციური შეთავაზება კომპანიებთან. რეალობა კი დადგა შემდეგი: პასუხი ყველა კომპანიიდან, რომელსაც მივმართეთ, და მივმართეთ არაერთს, იყო იდენტური, მოწოდებული სხვადასხვა სიჩქარით, ოპერატიულად თუ დაგვიანებით: „ამ ეტაპზე ამ აქტივობაში ვერ ჩავერთვებით". არადა, უკვე აფიშებია გამოკრული...

გვრჩება ერთადერთი გზა, მოგმართოთ მეგობრებს, მაყურებელს თხოვნით, დაგვეხმაროთ, ნუ გაგვატეხინებთ პირს უცხოელ კოლეგებთან. ნუ დაგვაკარგვინებთ შანსს, წარვდგეთ საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე.

დაგვეხმარეთ შეძლებისდაგვარად, მინიმალური თანხაც კი თანადგომის შემთხვევაში პრობლემას გადაჭრის და ჩვენ ვიქნებით, ალბათ პირველები, რომელიც მაყურებელმა გაუშვა საზღვარგარეთ ფესტივალზე, გასტროლზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ნინი ბადურაშვილი: „ჭორებზე არ ვბრაზდები"



მომღერალი ნინი ბადურაშვილი პატარაობიდან მიეჩვია, რომ მისი ოჯახი განსაკუთრებით პოპულარულია, ამიტომ არანაირი ჭორები აღარ აღიზიანებს.

**ნინი ბადურაშვილი:**

— შეჩვეული ვარ და ჭორებზე არ ვბრაზდები. უკვე იმასაც მივეჩვიე, რომ სულ ყურადღების ცენტრში ვარ. ზოგადად, ბედი მაქვს ასეთი, ასი კაცი რომ წასულიყო შატალოზე, მაინც ჩემი გვარი ისმოდა. საერთოდ რომ არ ვყოფილიყავი რაღაც ადგილებში, ისიც კი დაუბრალებიათ.

როცა ჩემზე ჭორებს ვიგებდი, ვამბობდი, ეტყობა, ასე უნდა ყოფილიყო-მეთქი, მაგრამ უნდა ვაღიარო, ყოფილა ჭორები, რომელსაც ძალიან გავუღიზიანებივარ. მაგრამ როცა იცი, რომ არაა მართალი, არ ბრაზდები. თუმცა რამდენიმე წლის წინ გავრცელდა ჭორი, რომელმაც კინაღამ წყობიდან გამომიყვანა.

მაბრალებდნენ, რომ ვიღაც ქალი გავიტანე, რომელიღაც ჟურნალისტი მირეკავდა და მეუბნებოდა, გუშინ ქალი რომ გაიტანე, ვანო მერაბიშვილმა გადაგადატანინაო. მიმტკიცებდა, რომ დაზარალებულის ოჯახიდან მოდიოდა, ხალხი ტირის და შენ გადებს ხელსო. კინაღამ წყობიდან გამოვედი.

გამიგია, რომ ჭორაობდნენ ვილაცასთან დადიხარ, ვიღაცის საყვარელი ხარ, მაგრამ ასეთი საშინელების დაბრალება და იმაზე საუბარი, რომ დანაშაულის ადგილიდან მიმმალეს, წარმოუდგენელია. სხვათა შორის, ვილაცებს სჯეროდათ და მიწერდნენ, შე, მკვლელოო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ასტროპროგნოზი
## 25 მაისისთვის



**ვერძი** — იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებებს ნუ გასცემთ. **კურო** — ახალს ნუ დაიწყებთ, დღეს მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. შეცდომებისგან დაზღვეული არ ხართ. ნუ გადაიღლებით. საღამო მეგობრებთან ერთად გაატარეთ. **ტყუპები** — განსაკუთრებით აგიმაღლდებათ შრომისნაყოფიერება. ყველაფერი გამოგდით, განსაკუთრებით — შემოქმედებით სფეროში. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** — მშვიდად იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ. მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. **ლომი** — იძულებული გახდებით, თქვენს გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას იღებთ. **ქალწული** — სასიცოცხლო პოტენციალი შედარებით იზრდება. საღამოს უსიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **სასწორი** — დაისვენეთ, წადით საყიდლებზე, ბევრს ნუ იმუშავებთ. მოაწესრიგეთ დოკუმენტაცია. დააფასეთ მცირედი სიხარული. **ღრიანკალი** — პროფესიულ საქმიანობაში ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება და მოგებას მოგიტანთ. **მშვილდოსანი** — ნუ იქნებით ამბიციური. ნებისმიერ შემთხვევაში დიდსულოვნება გამოიჩინეთ და მოგებული დარჩებით. **თხის რქა** — მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. ცუდ ხასიათზე ხართ, რაც თქვენს საქმიანობაზეც აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. ცდუნების აყოლა ცუდ შედეგებს გამოიწვევს. **მერწყული** — ახალი იდეების რეალიზება სიამოვნებას მოგანიჭებთ. გაგიმართლებთ სიყვარულში. **თევზები** — პერსპექტიული დღეა. კოლეგებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. გელით შეხვედრა, რომელიც დიდ სიხარულს გპირდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 2. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 3. ზუსტი ხელსაწყოების დასამზადებლად გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 4. დაბა სიღნაღის რაიონში; 5. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 7. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 15. ვერტიკალური სამშენებლო კონსტრუქცია; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 20. მდინარე გურიაში; 22. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა.

**თარაზულად**: 6. ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 8. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 9. წინასწარ დამუშავებული გეგმა; 10. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 12. დაბალი ხარისხის ალმასი; 13. ფულის ერთეული ჩინეთში; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 19. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 21. შვედი გამომგონებელი, მრეწველი, საერთაშორისო პრემიის დამფუძნებელი; 23. საკვები პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული ფერადი ლითონების სიფრიფანა ფირფიტა; 24. ნავების, იახტების სადგომი ნავსადგურში; 25. ნახევარკუნძული ჩრდილო ამერიკაში; 26. შენობის სხვენში მოწყობილი საცხოვრებელი სათავსო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ოროველა; 2. მაკეტი; 3. ხიზილალა; 4. სინერამა; 7. შემოქმედი; 8. ბრიუსელი; 12. ჯოჯოხეთი; 14. ხეჭეჭური; 16. ქვაწვია; 17. ალაზანი; 19. ჭაჭა; 20. გეტა.

**თარაზულად:** 5. ტრავოლტა; 6. ტრიპლექსი; 9. მერიმე; 10. ტეკილა; 11. რითმა; 13. ტონგა; 15. მეთუნე; 18. ზვარი; 21. ფუქსავატი; 22. ვალენსია; 23. კანბერა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აფინაჟი; 2. გოგლიძე; 3. ხილარი; 4. იმოლა; 5. მურყვამი; 7. ძმა; 11. ტრანსი; 15. მარკიზი; 16. ნადური; 17. ტევრი; 18. კლონი; 20. ხავსი; 22. ფიჯი.

**თარაზულად:** 6. ფერაძე; 8. ჰორაციო; 9. ბროკერი; 10. ნიტრატი; 12. მარსი; 13. აზოვი; 14. ტალახაძე; 19. კარწახი; 21. პეტეფი; 23. ლარდი; 24. ბრინჯი; 25. აზბესტი; 26. ვირჯინია.

# სამებაში საქველმოქმედო საღამო გაიმართება



25 მაისს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართება საქველმოქმედო საღამო მიხეილ სხვიტარიძის დასახმარებლად.

მოზარდის დასახმარებლად არაერთი საქველმოქმედო საღამო გამართა სტანისლავ ბონდარენკომ, მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. მათ აქციას შეუერთდა რუსთაველის თეატრიც, თუმცა მსახიობის ავადმყოფობის გამო, საქველმოქმედო სპექტაკლი მოიხსნა. მიხეილის დასახმარებლად საღამო ახლა სამებაში გაიმართება.

მიხეილ სხვიტარიძეს ხერხემლის ურთულესი ქრონიკული და პროგრესირებადი დაავადება, ოსტეოპოროზი აქვს, რომელიც ძვლის სიმტკიცის დაქვეითებითა და მოტეხილობების მაღალი რისკით ხასიათდება. მან უკვე გაიკეთა რვა ოპერაცია. მოზარდს ყოველ სამ თვეში ესაჭიროება სისხლის გადასხმა, ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობა და ოპერაცია საზღვარგარეთ, ასევე სრულფასოვანი კვება, რისი საშუალებაც ოჯახს არ აქვს.

საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და მომღერლები. გაიყიდება პოეტ რონინ აბუსელიძის წიგნი „ჰოლი". შემოსული თანხა მიხეილ სხვიტარიძის სამკურნალოდ გადაირიცხება. საღამოს ორგანიზატორია საქველმოქმედო ორგანიზაცია „თბილი სამყარო" და მასზე დასწრება თავისუფალია.

# ახალგაზრდა ხელოვანის პროტესტი საქართველოს



ახალგაზრდა ხელოვანი გიორგი პაპკიაური, რომელიც თავისი სიმღერებით და ნახატებით ფართო აუდიტორიისთვის კარგად არის ცნობილი, პროტესტის ნიშნად საქართველოში ყველანაირ აქტივობაზე უარს ამბობს:

– აღარ ვაპირებ იმ ქვეყანაში არანაირი გამოფენის ჩატარებას, სადაც ხელოვნების მიმართ არავითარი დაინტერესება არ იგრძნობა, სადაც არ აფასებენ ახალს და ჩარჩენილები არიან „საბჭოთა კავშირის დროინდელ ჟანგიან ტაშტში", – ასეთი განცხადებით გამოდის გიორგი პაპკიაური.

– მოგეხსენებათ, რომ ვგეგმავდი ძალიან სერიოზულ გამოფენა-აქციას, რომელიც მიეძღვნებოდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ თემას. გარდა ამისა, მქონდა პატარა საინტერესო აქციაც გიო არტ სელფი...

მოკლედ რომ ვთქვა, აღარ ვაპირებ იმ ქვეყანაში არანაირი გამოფენის ჩატარებას, სადაც ხელოვნების მიმართ არავითარი დაინტერესება არ იგრძნობა, სადაც არ აფასებენ ახალს და ჩარჩენილები არიან „საბჭოთა კავშირის დროინდელ ჟანგიან ტაშტში".

ქვეყანაში, სადაც სხვისი ნაგავი ოქროდ მიაჩნიათ და საკუთარ ოქროს ვერ ამჩნევენ, ქვეყანაში, სადაც მხოლოდ ბოღმით, შურითა და სისულელეებითაა გადატვირთული რეალობა თუ ინტერნეტ სივრცე!

რომელ განვითარებაზე ვსაუბრობთ მაშინ, როცა შიში გვაქვს და დიდი პროტესტი ახლის მიმართ?

ქვეყანა, სადაც უნდა ჩაიხადო, მოკლა ან სკანდალი ააგორო, რომ დაგაფასონ. „ექსტრემალურ ცურვას გისურვებთ სავეცკი ტაშტით."

# სოფიკო ჭიაურელი 79 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი სოფიკო ჭიაურელი 79 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა და მეგობრებმა დიდუბის პანთეონში მის საფლავზე გასვლით აღნიშნეს.

სოფიკო ჭიაურელი 8 წლის წინ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა და სახლიც ფიქრის გორაზე დაცარიელდა. მსახიობმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართულ თეატრსა და კინოს შეალია და 100-ზე მეტი როლი შექმნა. მსახიობი არასდროს მალავდა, რომ სძულდა თეატრი, რადგან მის გამო, ყოველთვის ენატრებოდა დედა. ვერიკო ანჯაფარიძეს შვილი ყოველთვის თან დაჰყავდა, მაგრამ სოფიკოს დედა სახლში სურდა ჰყოლოდა.

მოგვიანებით, როდესაც თვითონაც მსახიობი გახდა და დედასავით გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა, ცდილობდა, შვილებისთვის მეტი დრო დაეთმო. გიორგი შენგელაიასთან დაწყებული მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ოჯახის შექმნით დასრულდა. მათ ორი შვილი ეყოლათ ნიკუშა და სანდრო, მაგრამ მის ცხოვრებაში გამოჩნდა კოტე მახარაძე და ყველაფერი შეიცვალა. მათ ერთად 30 წელი იცხოვრეს. კოტეს გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე, მათ მეგობრებთან ერთად ჯვარიც დაიწერეს. ერთადერთი, რასაც სოფიკო კოტესთან თანაცხოვრების პერიოდში ნანობდა, ის იყო, რომ მას შვილი არ გაუჩინა.

სოფიკო ჭიაურელი განებივრებული იყო პრემიებითა და ჯილდოებით. ის გახლდათ ერთადერთი მსახიობი საბჭოთა კავშირის დროს, რომელმაც შვიდჯერ მიიღო ჯილდო „ქალის საუკეთესო როლისთვის" სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე, როცა მარჯანიშვილის თეატრის წინ მისი ვარსკვლავი საზეიმოდ გახსნეს, თვალცრემლიანმა თქვა: ეს ვარსკვლავი ვერიკოს ეკუთვნის!

– სოფიკო გიჟდებოდა თავის პროფესიაზე და დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მსახიობობისთვის შექმნა ღმერთმა ეს ადამიანი. ხანდახან ისე ცუდად იყო, წარმოუდგენელი იყო მისი სცენაზე დადგომა, მაგრამ გრიმს როგორც კი გაიკეთებდა, სულ სხვა სოფიკო ხდებოდა. სპეციალურად ჩავყოლილვარ თეატრში და მიყურებია, მაინტერესებდა, საშინლად დაღლილი როგორ ითამაშებდა, მაგრამ ყველაფერი შესანიშნავად გამოსდიოდა. ზღვა სიამოვნებას იღებდა თავად და ასევე სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს.

სიცოცხლის ბოლოს გრძნობდა თავის აღსასრულს, მაგრამ ჩვენთან ისევ ისეთი ამაყი და ვაჟკაცური იყო. საერთოდ არ დაუწუწუნია, არც თავის მდგომარეობას იყენებდა და არავის აწუხებდა. მომტირალი, მოქვითინე, მუხლებზე დამხობილი სოფიკო არ მინახავს, ის ასეთი არ იყო. თავის ტკივილს და პრობლემებს თავზე არავის ახვევდა. მისი სიცოცხლის ბოლო სამი დღე მარტო ვიყავი მასთან და ვხვდებოდი, რაც ხდებოდა. ვესწრებოდი მის გარდაცვალებას, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ მჯერა. ვიცი, რომ სოფიკო არსად გამქრალა. მისმა გარდაცვალებამ ჩემში ბევრი რამ შეცვალა, ძალიან ბევრ რაღაცას მივხვდი, რომელზეც არასოდეს მიფიქრია. სოფიკოს სიკვდილის არ ეშინოდა, ძალიან ძლიერად წავიდა, ისე, როგორც ნამდვილ დედოფალს შეჰფერის. მერეც ისეთი სახე ჰქონდა, როცა ესვენა, საოცრად ძლიერი, ნამდვილი დედოფლის, რაც იყო, ის ბოლომდე შეინარჩუნა. ჩემთვის სოფიკო ხანგრძლივ გასტროლზეა წასული, საშინლად მენატრება, მაკლია და ისევ ველოდები, – ასე იხსენებს მსახიობის შვილიშვილი ნატაშა შენგელაია.

# რობერტინო ლორეტი ბათუმში იმღერებს



წელს საქართველო მსოფლიო ვარსკვლავების ვიზიტით განებივრებულია. ხოსე კარერასი, რობი უილიამსი, ეროს რამაზოტი, როტერტინო ლორეტი – ეს იმ ხელოვანების არასრული ჩამონათვალია, ვინც მთელი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას ესტუმრება.

მსოფლიო ლეგენდა, ცნობილი იტალიელი მომღერალი რობერტინო ლორეტი საქართველოში ჩამოდის.

70 წლის ხელოვანი, „ჯამაიკას" უბადლო შემსრულებელი ბათუმს ესტუმრება და მონაწილეობას მიიღებს მუსიკალურ საღამოში „ოქროს ხმა", რომელიც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართება.

რობერტინო ლორეტისთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგება ბათუმის საოპერო დასის სოლისტი, ტენორი ირაკლი კახიძე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ორკესტრი, ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის სოლისტები და მამუკა ალაფიშვილი.

იტალიელი მომღერლის კონცერტი ბათუმში 27 მაისს გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ნოე ჟორდანიას ბიუსტი ნაპოვნია

– ნაპოვნია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი მამის ნოე ჟორდანიას ბიუსტი, – ამ განცხადებას ფილოსოფიის დოქტორი ლაშა ბაქრაძე ავრცელებს:

– ზუსტად, საოცდაექვსმაისოდ ნაპოვნია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი მამის ნოე ჟორდანიას ბიუსტი.

იაკობ ნიკოლაძემ ეს თაბაშირის ბიუსტი ცოცხალი მოდელიდან 1919 წელს შეასრულა. მას გაკეთებული აქვს მარმარილოს ქანდაკებაც, რომელიც ჯერჯერობით ნაპოვნი არაა.

როგორც ჩანს, ბრინჯაოში ჩამოსხმაც იგეგმებოდა, რომელიც ჩვენ ახლა მაინც უნდა განვახორციელოთ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის წინ და საზოგადო სივრცეში სათანადო ადგილი მივუჩინოთ ნოე ჟორდანიას.

26 მაისს ყველას და პირველ რიგში, მედიას გეპატიჟებით ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენის პრეზენტაციაზე იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ეზოში, ოგიუსტ როდენის ქუჩა 6.



იაკობ ნიკოლაძის შვილიშვილი, ბატონი გურამ ნიკოლაძე უფრო დეტალურად გესაუბრებათ ჟორდანიას ბიუსტთან დაკავშირებულ ისტორიებსა და სამომავლო სურვილ-გეგმებზე.

# სოფო ნიჟარაძემ იმიჯი შეიცვალა

მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ, რომელიც „იქს ფაქტორის" მენტორია, იმიჯი შეიცვალა. მან ჩვეულ ტრადიციას უღალატა და თმები წითლად შეიღება.

მომღერლის ახალმა ვარცხნილობამ მალევე მიიქცია მისი გულშემატკივრების ყურადღება და დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფანებმა სოფოს გადაწყვეტილება მოუწონეს და ექსპერიმენტს წარმატებული უწოდეს. ხანგრძლივი იქნება თუ არა სოფოს წითელი ფერის თმები, მომღერალს ჯერ არ გადაუწყვეტია, რადგან ჩვეული შოკოლადისფერი თმა მისთვის ერთგვარი სავიზიტო ბარათი იყო, რასაც სოფომ მოულოდნელად უღალატა.

# ანტიკური პერიოდის ჭურჭელი ინტერნეტით იყიდება

ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ისტორიული ნივთები ინტერნეტით იყიდება. საუბარია არტეფაქტებზე, რომელთა რეალიზაცია ერთ-ერთ ქართულ ინტერნეტმაღაზიაში ხდება.

ანტიკვარული კოლექციის ჩამონათვალში ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდით დათარიღებული რამდენიმე ნივთიც გვხვდება. მათ შორისაა ბრინჯაოსა და ძველი ქვის ხანის იარაღები, უძველესი სამკაულები და ანტიკური პერიოდის ჭურჭელი. თითოეული მათგანის ფასი საკმაოდ მაღალია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვას გეგმავს.

სპეციალისტები მითითებული ნივთების წარმომავლობის დადგენას ითხოვენ. არქეოლოგები კი შავი არქეოლოგიის გახშირებულ ფაქტებზე საუბრობენ და არ გამორიცხავენ, რომ გასაყიდად გატანილი არტეფაქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის მოპოვებული და თითოეული მათგანი უნიკალური მნიშვნელობისაა.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ლუშა კოპალიანი-ნინუა



ერთი წელი შესრულდა, რაც შენ წახვედი ამქვეყნიდან და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, მწუხარება, სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს.

უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები. შენს სახელს სიკვდილი არ უწერია. მარად ცოცხალი დარჩება ჩვენს გულში, როგორც გამორჩეული, თბილი, კეთილი, მოსიყვარულე, ალალ-მართალი ადამიანის სახელი.

ბედნიერი ვართ იმით, რომ იყავი ჩვენს ცხოვრებაში და წარუშლელი კვალი დატოვე შენი არსებობით.

უფალს შევთხოვთ, არ მოაკლოს ღვთიური მადლი, ნათელი შენს ლამაზ სულსა და წმინდა სამყოფელს.

**მეუღლე ბონდო, შვილები, შვილიშვილები, შეძენილები**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ცნობილი ხელმძღვანელი და სამეურნეო მუშაკი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი, მრავალი წლის განმავლობაში აფხაზეთის ეკონომიკის ფლაგმანის, საკავშირო დაქვემდებარების ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" (საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის") ყოფილი გენერალური დირექტორი, სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო-დრამატული თეატრის აღმასრულებელი დირექტორი, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქომაგის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, სახალხო დიპლომატიის პროცესების აქტიური მონაწილე, საზოგადოებრივი გაერთიანება „შერიგების" თავმჯდომარე, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი

**ალექსანდრე (ალიოშა) მიქაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 25 მაისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფგიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**საზღვარი**" (ჯ.ნიკოლსონი) **03.10** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ფართო ნაბიჯით**" **02.05** მხ/ფ "**დარტანიანის ქალიშვილი**" **04.10** მხ/ფ "**ბრონქსის ისტორია**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ "**უფსკრული**"

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** მოკ.მხ/ფ "**მჭედელი**" **11.15** ერთხელ ბავშვობაში **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** ღვთის სახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" **1 16.00** კონცერტი **17.10** ძველი აფიშა "მეტეხის ჩრდილში" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** დ/ფ "ნაშენებითა უზომოთა"-უჯარმა **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"-**33** (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 მაისისთვის

- აშშ დოლარი — 2.1459
- ევრო — 2.4045
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1047
- 100 რუსული რუბლი — 3.1996

## ამინდის პროგნოზი 25 მაისისთვის






## ყურადღება!

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წიგნის შეძენა!

**27 მაისიდან**

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

### ბიძია თომას ქოხი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**





**24 მაისიდან**

ერიხ მარია რემარკი

### ტრიუმფალური თაღი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**



## იუმორი



ექიმი პაციენტს ეუბნება:

– უნდა გითხრათ, რომ თქვენ მეუღლესა და სიდედრთან საუბრის ბედნიერება მქონდა.

– მართლა? მერე?

– უნდა გაგახაროთ, თქვენ მალე მოკვდებით.

●●●

გლეხი ბაზარში პომიდორს ჰყიდის. ერთი ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი მივა და პომიდვრის არჩევა დაიწყო. აიღებს ერთს, მოუჭერს ხელს, არ ვარგაო, თავს გადააქნევს და უკან დადებს, ახლა მეორეს აიღებს, მასაც ხელს მოუჭერს და უკანვე დადებს. გლეხმა უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– მა მე რო ეგრე მიგზილ-მოგზილო, ივარგებ?

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– გოგო, რა უნდა ქნა, კაცი რომ გაგიცივდება?

– უნდა დამარხო... სხვას რას იზამ?

●●●

საერთო საცხოვრებელში ორი სტუდენტი იმაზე საუბრობს, თუ უფრო ადვილად როგორ გაიტანონ თავი. ერთი მეორეს შესთავაზებს:

– მოდი, ერთი გოჭი გამოვაგზავნინოთ სახლიდან, ოთახში გავზარდოთ და მერე ღორის მწვადებიც გვექნება.

– მერე სუნი?

– სუნს შეეჩვევა, რა, ღორია ბოლოს და ბოლოს.

●●●

ცოლი სულთმობრძავი მეუღლის სასთუმალთან ზის და მოთქვამს:

– არ დამტოვო, კაცოოო... არ გაგიშვებ, თან წამოგყვები...

– ქალო, იმ ქვეყნად მაინც მომასვენე, – ამოიკვნესა ქმარმა.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ქმარს სილამაზის სალონში წასასვლელად 200 ლარი ვთხოვე.

– რა, არ მოგცა, იმ უსინდისომ?

– დაკვირვებით შემათვალიერა და 500 ლარი მომცა, იმ ნაძირალამ!

●●●

კონსულტაციაზე მისულ ქალს ექიმი ეკითხება:

– ბავშვის მამა მშობიარობას დაესწრება?

– არა მგონია, ჩემს ქმართან ნაჩხუბარია და...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## 23 მაისიდან

ჯეკ ლონდონი

### ზღვის მგელი

თავგადასავალი, ფანტასტიკა. ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**





## სიენენის 9 მიზეზი საქართველოში სამოგზაუროდ

ქართული კულტურა, მეღვინეობა, ულამაზესი ბუნება და კულტურული ძეგლები არაერთხელ გამხდარა მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების თუ გამოცემების მთავარი თემა. ამჯერად საქართველო სიენენის ობიექტივში მოექცა და მისმა ჟურნალისტმა ჯენიფერ ვოლკერმა ის 9 მიზეზი დაასახელა, რის გამოც საქართველოს უცხოელები აუცილებლად უნდა ესტუმრონ.

**1. თბილისის არქიტექტურა**

დაკიდებული აივნები ძველი ქალაქის უბანში და სპარსული სტილის აბანოები თურქული მოზაიკით, უნიკალური არტ ნუვო შენობები ფუტურისტული შუშის ნაგებობების პირისპირ, ერთი სიტყვით, თბილისი შთაგონებების ქალაქია.

**2. უშგული**

ევროპის უმაღლესი სოფელი ზღვის დონიდან 2 200 მეტრზე კავკასიურ მთებში მდებარეობს, რომელიც ოფიციალურად უმაღლესი დასახლებული ადგილია ევროპაში. უშგული ცნობილია შუასაუკუნოვანი თავდაცვითი კოშკებით, რომელიც თითოეულ სახლთანაა დაკავშირებული.

**3. ღვინის სამშობლო**

როდესაც ღვინის წარმომავლობაზე ვფიქრობთ, გვახსენდება საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი ან სპარსეთი, მაგრამ სინამდვილეში საქართველო ერთ-ერთი უძველესი ღვინის რეგიონია. 2003 წელს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მტკიცებულება, რომ აქ ჯერ კიდევ 8 000 წლის წინ მზადდებოდა ღვინო.

**4. მისტიკური გამოქვაბული ქალაქები**

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური გამოქვაბულებია მთელ ევროპაში. მარტო ამის გამო ღირს საქართველოს მონახულება. უძველესი გამოქვაბული ქალაქებია უფლისციხე, მთა გარეჯა და ვარძია, მიწისქვეშა ქალაქი, სადაც ადრე 2 000 ბერი ცხოვრობდა.

**5. ტრადიციული ქართული სუფრა**

საუკეთესო გზა ქვეყნის შესაცნობად მისი სამზარეულოა. თუ ქართულ სუფრაზე არ ყოფილხართ, საქართველოს არ იცნობთ. ყველაზე ცნობილი ქართული კერძი ხაჭაპურია, რომელსაც მრავალი სახეობა აქვს, მათ შორის ყველაზე პოპულარულია აჭარული ვარიანტი.

**6. განცალკევებული მთის სოფლები**

ხევსურეთისა და თუშეთის მოწყვეტილი რეგიონები კავკასიის მთებში საოცარი შუასაუკუნოვანი სოფლების სამშობლოა. აქაურები ისევ ინარჩუნებენ უძველეს ტრადიციებს. იქაურობა ისე გამოიყურება, როგორც ტოლკინის ნაწარმოებების პეიზაჟები.

**7. ევროპის ყველაზე წარმოუდგენელი მუზეუმი**

იმისთვის, რომ იოსების შესახებ გაიგოთ, სტალინის მუზეუმს უნდა ეწვიოთ მის მშობლიურ ქალაქ გორში. სტალინის სახლ-მუზეუმში წარმოუდგენელი სანახაობა დაგხვდებათ და ისტორია თქვენ თვალწინ გაცოცხლდება.

**8. ლამაზი, უძველესი ეკლესიები**

საქართველომ ქრისტიანობა 324 წელს მიიღო, შესაბამისად, ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა ულამაზესი ეკლესიები და ტაძრები.

**9. ხალხი და ქართული სტუმართმოყვარეობა**

ქართველები ძირითადად კეთილი და სტუმართმოყვარე ხალხია. მათთვის სტუმარი წმინდაა და ყველაფერს იზამენ თქვენს დასახმარებლად. ქართველების სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა ზღვარგადასული ჭამა-სმით გამოიხატება ხშირად. როგორც ისინი ამბობენ, „გაუმარჯოს!"

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კანის კინოფესტივალის პრიზი ძაღლმაც დაიმსახურა



ბულდოგმა, სახელად ნელიმ, რომელიც ჯიმ ჯარმუშის ფილმ „პატერსონში" თამაშობს, კანის ფესტივალის საგანგებო პრიზი პალ დოგი მიიღო ძაღლებს შორის საუკეთესო როლის შესრულებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ბულდოგის წყალობით იძენს აღნიშნული ფილმი მოულოდნელ ინტრიგას.

თავად ჯარმუშმა განაცხადა, რომ მისი აზრით, „ნელი – ფილმის მთავარი გმირია და მის გარეშე ეს ფილმი არ შედგებოდა".

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ახალგაზრდა რეჟისორს დაცვის პოლიციამ სცემა



მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორს, სანდრო ელოშვილს, დაცვის პოლიციამ სცემა. დაპირისპირების მიზეზი რეჟისორის მოთხოვნა გახდა. მან რესტორნის მუსიკოსებს რუსული უგემოვნო სიმღერების შესრულებისგან თავის შეკავება სთხოვა.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა გია როინიშვილმა გაავრცელა:

– რესტორნის მუსიკოსებისთვის მოუთხოვია, უგემოვნო რუსულ სიმღერებს ნუ იმღერებთ, სირცხვილია, ჩვენს ბიჭებს ხოცავენ ეგენიო..... დაცვის პოლიცია მოვარდნილა და ექვსი პოლიციელი ერთ ბიჭს ურტყამდა...... სანდრო ელოშვილი ახალგაზრდა, ნიჭიერი რეჟისორი, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული...... იმათზე არ ვწერ.... სანდროზე ვფიქრობ..... საქართველოს გადაშენება არ უწერია!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ჯონ ლენონის ხელნაწერი და ფრედი მერკურის კოსტიუმი აუქციონზე გაიყიდა



აუქციონის სახლმა ჯულიენს აუქთიონმა მანჰეტენის ცნობილ კაფეში ვაჭრობა გამართა, რომელზეც როკ-მუსიკოსებისა და პოპულარული მუსიკის შემსრულებლების ასეულობით პირადი ნივთი გაიყიდა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძვირადღირებული ლოტი გამოდგა ფურცელი, რომელზეც ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფის ბითლზის ლიდერ ჯონ ლენონს ტექსტი და ნოტები ჰქონდა დაწერილი. ის 280 ათას დოლარად გაიყიდა.

65 ათას დოლარად გაიყიდა როკ-ჯგუფის ქვინის ვოკალისტის ფრედი მერკურის თეთრ-წითელი სასცენო კოსტიუმი, რომელიც მას 1986 წელს ქვინის ტურნეს დროს ეცვა. მაიკლ ჯექსონის კოსტიუმი 200 ათას დოლარად გაიყიდა, რამაც მის საწყის ღირებულებას ოთხჯერ გადააჭარბა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 2. ღვინისა და დროსტარების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. გასართობად შეთხზული მოკლე, სასაცილო ამბავი; 4. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 7. ცუდი, ავი ენის პატრონი ადამიანი; 8. გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდება; 12. დარტყმა კრივში; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 16. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 17. სილის გორაკი უდაბნოში; 19. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 20. კაკბის, ხოხბის, გნოლის ბარტყი.

**თარაზულად**: 5. მხარე გერმანიაში; 6. დიდი ძეგლი; 9. ცის უმაღლესი, წარმოსახვითი წერტილი; 10. მდინარე ტოკიოში; 11. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 13. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 15. ხუროთმოძღვრული სტილი შუა-საუკუნეების ევროპაში; 18. სამეჯლისო ცეკვა; 21. ძველი მონეტების მკვლევარი, კოლექციონერი; 22. აეროპორტი სტოკჰოლმში; 23. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი